პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMYNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

 კვირა, 11 დეკემბერი, 1949 წ. № 244 (8547). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ლენინ-სტალინის იდეების ყოვლისმძლე ძალა — „პრავდის“ 10-XII მოწინავე (1-ლი გვერდი).

საქართველოს სს რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი გვერდი).

საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

ბათუმის რევოლუციის მუზეუმი ამ დღეებში (მე-2 გვერდი).

პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასასრულებლად (მე-3 და მე-4 გვერდი).

მთელი მსოფლიოს მშრომელები ემზადებიან ღირსეულად აღნიშნონ იოსებ გესარიონის-ძე სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავი (მე-2 გვერდი).

ა. ბურთიკაშვილი — „სხვისი ჩრდილი“ (მე-3 გვერდი).

ბულგარელი სახელმწიფო დამნაშავის ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამოზიარეთა სასამართლო პროცესი (მე-4 გვერდი).

ლენინ-სტალინის იდეების ყოვლისმძლე ძალა

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლები და ბელადები ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორიით. ბოლშევიკური პარტია ძლიერი და უძლეველია იმიტომ, რომ თავის ბრძოლაში კომუნიზმისათვის იგი ხელმძღვანელობს ყველაზე მოწინავე, ყველაზე რევოლუციური თეორიით — მარქსიზმ-ლენინიზმით. და მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძალა ის არის, რომ იგი პარტიას შესაძლებლობას აძლევს გაერკვეს ვითარებაში, გაიგოს გარემო მოვლენათა შინაგანი კავშირი, გაითვალისწინოს მოვლენათა მსვლელობა და გამოიცნოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა განვითარდნენ ისინი მომავალში.

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე განსაკუთრებული ძალით აღნიშნა რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა ჩვენი პარტიის მთელ მოღვაწეობაში.

„...ჩვენმა პარტიამ იცის, საით წაიყვანოს საქმე,—თქვა ამხანაგმა სტალინმა,—და წინ მიჰყავს იგი წარმატებით. რას უნდა უმადლოდეს ჩვენი პარტია ამ თავის უპირატესობას? იმას, რომ იგი არის მარქსისტული პარტია, ლენინური პარტია. იგი უნდა უმადლოდეს იმას, რომ თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრებით. ეჭვს გარეშეა, რომ სანამ ჩვენ ამ მოძღვრების ერთგულნი ვრჩებით, სანამ ჩვენ ხელთ გვიპყრია ეს კომპასი,—გვექნება წარმატებანი ჩვენს მუშაობაში“.

მუშათა კლასის გენიალურმა ბელადებმა, რევოლუციური მეცნიერების უდიდესმა კორიფეებმა ლენინმა და სტალინმა გაამდიდრეს და წინ წასწიეს მარქსიზმი, ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს იგი.

ლენინმა და სტალინმა მოგვცეს იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის უღრმესი მარქსისტული ანალიზი, დაამტკიცეს, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში შესაძლებელი გახდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ლენინმა და სტალინმა ყოველმხრივ განავითარეს მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შესახებ, საბჭოების, როგორც კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის საუკეთესო ფორმის შესახებ. ლენინმა და სტალინმა დაასაბუთეს შესაძლებლობა სოციალისტური საზოგადოების აშენებისა პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია იმპერიალისტური სახელმწიფოებით; ცხადყვეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისა სოციალისტური მშენებლობის წარმატების საქმეში. „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას,—ნათქვამია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, — რომ ენგელსის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის — შემდეგ სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები — იყვნენ ერთადერთი მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსისტულ თეორიას და რომლებმაც გაამდიდრეს იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში“.

ამხანაგმა სტალინმა, ლენინის საქმის დიდმა განმგრძობმა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, შემოქმედებითად გაანავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყველა საკითხი. ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ განავითარა მოძღვრება პარტიის შესახებ, შეიმუშავა ხელმძღვანელი დებულებანი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესახებ, შექმნა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია, შეაიარაღა პარტია და მუშათა კლასი უმნიშვნელოვანესი თეორიული მითითებებით სოციალისტური აშენებლობის ყველა ძირითად საკითხზე. ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია. მან კონკრეტულად ჩამოაყალიბა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის თეორია და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, კაპიტალისტური გარემოცვა რომ დარჩეს. ამ სტალინურ დასკვნას წინ მიჰყავს მარქსისტულ-ლენინური თეორია, აიარაღებს მუშათა კლასს ახალი იდეური იარაღით, აძლევს პარტიას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დიად პერსპექტივას.

ამხანაგმა სტალინმა მეცნიერულად განაზოგადა საბჭოთა სახელმწიფოს გაგანტური გამოცდილება და შექმნა მთლიანი და დამთავრებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს, როგორც სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების მძლავრი იარაღის შესახებ.

სტალინის გენიამ მარქსისტულ-ლენინური თეორიის კაშკაშა შუქით გაანათა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის გზები, გამოაელინა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების ახალი კანონზომიერებანი და ახალი მამოძრავებელი ძალები. კომუნიზმის უდიდესმა თეორეტიკოსმა ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ და ღრმად განავითარა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პრობლემები. მან განაზოგადა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლისა და კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მდიდარი გამოცდილება. ამხანაგ სტალინის შრომები დაუშრეტელი წყაროა ხელმძღვანელი მითითებებისა ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე.

ლენინ-სტალინის იდეები წარმოადგენენ დიად მამობილიზებელ, მაორგანიზებელ და გარდამქმნელ ძალას. ამ იდეების დროშით მუშათა კლასმა გლეხობის მშრომელ მასებთან კავშირში მოსპო კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში და ააშენა სოციალისტური საზოგადოება. ლენინურ-სტალინური იდეების დროშით საბჭოთა ხალხმა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში. ამ უძლეველი დროშით ჩვენი ხალხი ომისშემდგომ პერიოდში აღწევს ახალ წარმატებებს სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

დიადი ლენინურ-სტალინური იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. ამ იდეების ყოვლისმძლე ძალა მკაფიოდ იჩენს თავს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის წარმატებებით, ჩინელი ხალხის ისტორიული აღმავლობით, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთა მოძრაობის ზრდითა და განმტკიცებით.

დასაღუპავად განწირული იმპერიალისტური რეაქციის გაცოფებული ბანაკი ყველა მატერიალურ და სულიერ საშუალებას იყენებს, რათა გზა გადაუღობოს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გავრცელებას კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ფართო მასებში. მაგრამ ეს ცდები ამაოა! ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მომწიფებული ამოცანების ბაზაზე წარმოშობილი ახალი საზოგადოებრივი იდეები გზას იკაფავენ და სძლევენ ყველა დაბრკოლებას, რომლებსაც მათ მომაკვდავი რეაქციული კლასები უქმნიან.

ეს წელიწადზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მარქსიზმი ასპარეზზე გამოვიდა. ამ ხნის განმავლობაში ათობით და ასობით ბურჟუაზიული მთავრობა ცდილობდა მარქსიზმის მოსპობას. ამ ცდების შედეგები ცნობილია. „ბურჟუაზიული მთავრობები, — თქვა ამხანაგმა სტალინმა 1934 წელს,—მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ხოლო მარქსიზმი რჩებოდა. უფრო მეტიც,—მარქსიზმმა მიაღწია იმას, რომ მან სრული გამარჯვება მოიპოვა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე...“ ამჟამად 800 მილიონამდე მოსახლეობა განთავისუფლებულია მსოფლიო იმპერიალიზმის ბორკილებისაგან. ასეთია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ძლავრი, ძლევამოსილი სვლა!

მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა და სიცოცხლისუნარიანობა სწორედ ის არის, რომ იგი თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში ეყრდნობა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროებას. მთელ მსოფლიოში მშრომელთა უდიდესი მასები სულ უფრო რწმუნდებიან, რომ კაპიტალიზმი საწარმოო ძალების შემდგომი პროგრესული განვითარების შემაფერხებელი გახდა, რომ მხოლოდ საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ბაზაზე იქმნება მატერიალური სიუხვისა და მასების კულტურის უსაზღვრო ზრდის ფართო პერსპექტივები.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიანია ამ მუშაობის შედეგები.

ამჟამად, როცა კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წარმატებითს წინსვლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, ლენინ-სტალინის იდეების პროპაგანდის საქმეს განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. აღვზრდით რა ხალხის ფართო მასებს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სულისკვეთებით, ჩვენ ამით ვიჩქარებთ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების — სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ამოცანების გადაწყვეტას.

მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი თეორეტიკოსი ამხანაგი სტალინი თავისი გენიის შუქურათი ყველა ქვეყნის მშრომელთ უნათებს უკეთესი მომავლის გზას, კომუნიზმის გზას. სტალინის სახელი, ხალხთა უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილი, გამოხატავს საბჭოთა კავშირის, ბოლშევიკების პარტიის სიდიადესა და ძალას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ძალას.

მთელი მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანები, ემზადებიან რა ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავისათვის, მიესალმებიან მუშათა კლასის დიდ ბელადსა და მოაზროვნეს, ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს, კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა გრანდიოზული სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. ყველგან იმართება მუშების, გლეხების, მოწინავე ინტელიგენციის კრებები, რომლებიც ცხადყოფენ მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულს ამხანაგ სტალინისადმი.

დიდ სტალინში ყველა ქვეყნის მილიონობით მშრომელნი ხედავენ თავიანთ ბელადსა და მასწავლებელს, რომლის ნაწარმოებებითაც ისინი სწავლობენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლაში გამარჯვების ხელოვნებას, სწავლობენ ახალი, ბედნიერი ცხოვრების შენებას.

ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

„პრავდის“ 10/XII მოწინავე

საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად

★

ავტოქარხნელთა შრომითი აღმავლობა

მოსკოვი, 9 დეკემბერი. (საკდესი). სოციალისტურმა შეჯიბრებამ საბჭოთა ხალხის ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად მოიცვა სტალინის სახელობის ავტოქარხნის ყველა საწარმოო უბანი. საწარმოში არ არის არცერთი ისეთი მუშა, რომელიც შრომითს საჩუქრებს არ ამზადებდეს ამ ძვირფასი და ღირსშესანიშნავი თარიღისათვის.

8 დეკემბერს საწარმოს მრავალათასოვანი კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე დადგა. საამქროები და უბნები მორთულია ალისფერი ტილოებით. ყველგან გაკრულია მოწოდება — ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავი აღვნიშნოთ ახალი საწარმოო გამარჯვებით.

ვახტის პირველ დღეს პროდუქციის გამოშვების სადღეღამისო გრაფიკი ყველა საამქრომ და უბანმა გადაჭარბებით შეასრულა. რუხი თუჯის მდნობელებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 60 ტონაზე მეტი ლითონი. ასობით სტახანოველმა 2-3 ნორმა შეასრულა.

ქარხნის ექვსი საამქრო პროდუქციას უკვე 1950 წლის ანგარიშში იძლევა.

★

გორი ყველა მშრომელის ათვის საყვარელი ქალაქია. აუწერელ კმაყოფილებასა და სიამოვნებას გრძნობ, როცა დგახარ ალიზით ნაშენ პატარა ქართულ სახლთან, სადაც დაიბადა კაცობრიობის უდიდესი გენია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

სად არ წვდება გორის პატარა სახლის სიდიადე! ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს რომელი კუთხიდან არ ჩამოდიან აქ ამ სახლის სანახავად!

დღემდე შვიდას ათასზე მეტი მნახველი მოსულა ამ სახლში და თავისი აღტაცება აუსახავს შთაბეჭდილებათა წიგნებში.

სურათზე: სახლი ქალაქ გორში, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ი. ბ. სტალინმა.

ფოტო რ. აკოფოვისა

„ზაპოროჟსტალის“ მეჯაღუარგებთან

ზაპოროჟიე, 9 დეკემბერი. (საკდესი). ზაპოროჟიეში ფართოდ გაჩაღდა საყოველთაო სახალხო შეჯიბრება ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად. „ზაპოროჟსტალის“ მეტალურგებმა გადაწყვიტეს — 21 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი და ნაგლინი. მათ პირობა დადეს თუჯის გამოდნობის გადიდებული წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ხოლო ფოლადის გამოშვებისა და ნაგლინის წარმოების გეგმა — 28 დეკემბრისათვის და, გარდა ამისა, იკისრეს წელიწადში დაზოგონ 14 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

საპატიო შრომითს ვახტზე ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად დადგა ქარხნის ყველა მუშა.

ნავთის მრეწველობის მუშაკები ასრულებენ ვალდებულებებს

ბაქო, 9 დეკემბერი. (საკდესი). ბაქოს სარეწებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ნავთის მრეწველობის მუშაკთა შეჯიბრება, რომლებმაც გადაწყვიტეს ღირსეულად აღნიშნონ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავი. ასობით ბრიგადა სტახანოვურ ვახტზე დადგა და პირობა დადო ღირსშესანიშნავი თარიღისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღოს ათასობით ტონა საწვავი.

ყოველ დღე ახალ-ახალი ცნობები მოდის ნავთის მუშაკთა შრომითი გამარჯვების შესახებ. ტრესტ „არტემნეფტის“ პირველი სარეწისა და ტრესტ „სტალინნეფტის“ პირველი სარეწის კოლექტივებმა გუშინ უპატაკეს თავიანთ ვალდებულებათა პირველი მუხლის ვადამდე შესრულების შესახებ: მათ შეასრულეს ნავთისა და გაზის მოპოვების წლიური გეგმა. 21 დეკემბრისათვის ეს ორი სარეწი გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა „შავ ოქროს“ მოგვცემს.

უკრაინის საწარმოებში

კიევი, 9 დეკემბერი. (საკდესი). უკრაინის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივები ღირსშესანიშნავ თარიღს — ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავს მნიშვნელოვანი საწარმოო წარმატებებით ხვდებიან. 11 თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 318 მილიონი მანეთის პროდუქცია. სამინისტროს 80-ზე მეტმა საწარმომ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმები.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოების კოლექტივები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. კიევის მეოთხე ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაკებმა გადაწყვიტეს დეკემბერში გეგმის გადამეტებით გამოუშვან 15,5 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გაადიდონ 3 პროცენტით, 21 დეკემბრისათვის დაზოგონ 100 ათასი კვადრატული დეციმეტრი სპირე ტყავი და დამატებითი ნედლეულის დაუხარჯავად შეკერონ 5 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

რუსთავის მშენებელთა საჩუქრები

რუსთავი. (საკ. კორ.). რუსთავის საწარმოებსა და სამშენებლო ობიექტებზე ახალი შრომითი აღმავლობით აღნიშნავენ დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადების დღეებს.

სამშენებლო ტრესტის ბეტონის ცენტრალური კომბინატის კოლექტივის კრებაზე, რომელიც ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადებას მიეძღვნა, მეარმატურეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. კვერცხიშვილმა განაცხადა: დიადი თარიღის აღსანიშნავად ჩემი ბრიგადა დეკემბრის გეგმას 21 დეკემბრისათვის ორმაგად გაანაღდებს და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას გამოუშვებს. ასეთივე ვალდებულება იკისრა დურგლების ბრიგადამ, რომელსაც ვ. კაციაშვილი ხელმძღვანელობს. ქვის მტეხელთა ვ. იაშვილის ბრიგადამ თვიური გეგმის 140 პროცენტით შესრულება დაიკალა.

ძთლიანად ბეტონის კომბინატის კოლექტივმა, რომელიც დიდი ხანია 1950 წლის ანგარიშში მუშაობს, იკისრა დეკემბრის გეგმის 21 რიცხვისათვის შესრულება.

თბოელექტროსადგურის კოლექტივი დიად თარიღს მილიონობით კილოვატსაათი ზეგეგმითი ელექტროენერგიის გამომუშავებით შეხვდება, ხოლო მექანიკური საამქრო 800 ათასი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას გამოუშვებს.

ასეთივე შრომითი აღმავლობით ეგებებიან დიდი სტალინის დაბადების დღეს სამშენებლო ტრესტის ხის გადამამუშავებელი კომბინატის, ლითონსამსხმელო საამქროსა და სხვა ობიექტების მუშათა კოლექტივები.

ზესტაფონელ მეჯაღუარგთა სიტყვა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანაში დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მზადებისადმი მიძღვნილი კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. რაზმაძემ. ქარხნის დირექტორმა ი. კეკელიძემ შეკრებილთ გააცნო, თუ რა უდიდესი სიხარულითა და ენთუზიაზმით შეუდგა საბჭოთა ხალხი მზადებას მშობლიური სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად, და მოიწოდა ქარხნის კოლექტივს ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნოს დიადი თარიღი—21 დეკემბერი.

სიტყვით გამოვიდა სადნობი საამქროს უფროსი გ. შათირიშვილი, რომელმაც საამქროს კოლექტივის სახელით იკისრა 21 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 450 ტონა სილიკომარგანეცი, ხოლო საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 27 დეკემბერს შეასრულოს.

სიტყვა აიღო სადნობი საამქროს მეოთხე ღუმელის მდნობელმა ბრიგადირმა, სახელმოწოდებულმა სტახანოველმა გ. დიაკონიძემ. მან განაცხადა, რომ ?-ანი ბრიგადა მშობლიური სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დგება და კისრულობს დღიური ნორმების სულ ცოტა 112 პროცენტით შესრულებას. ამავე საამქროს მესამე ღუმელის მდნობელმა ბრიგადირმა დ. ქარქაშაძემ ბრიგადის სახელით დღიური ნორმის 105 პროცენტით შესრულება იკისრა.

მეოთხე საამქროს უფროსმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ინჟინერმა გ. სიორიძემ განაცხადა: საამქროს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, უკვე შეასრულა წლიური გეგმა. მშობლიური სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად საამქროს კოლექტივის სახელით ვკისრულობ 21 დეკემბრისათვის წლიური გეგმა შევასრულოთ 130 პროცენტით და გეგმის გადამეტებით ქვეყანას მივცეთ მრავალი ათასი კილოგრამი უძვირფასესი ლითონი. ასეთივე გადიდებული ვალდებულებები იკისრეს სტახანოველებმა გ. კიკნაველიძემ, ი. დანელიამ, ლ. ყვავაძემ, გ. მაკარიძემ და სხვებმა.

მთლიანად ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 26 დეკემბერს, ხოლო დაგროვების წლიური გეგმის შესრულება უზრუნველყოს 21 დეკემბრისათვის და სახელმწიფოს მისცეს 37,5 მილიონი მანეთი მოგება.

21 დეკემბერს წლიური გეგმის შესრულებით აღნიშნავენ

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის „წყალმშენის“ მუშაკთა კოლექტივმა ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად იკისრა 21 დეკემბრისათვის 105 პროცენტით შეასრულოს მშენებლობის გეგმა, 4,5 პროცენტით შეამციროს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება და თვითეულ მუშაზე სადღეღამისო გამომუშავების საგეგმო დავალებას გადაჭარბოს 5 პროცენტით.

ტრესტის მუშაკთა ამ ვალდებულების განაღდების მიზნით ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებელთა კოლექტივმა, რომელმაც 11 თვის დავალების 111 პროცენტით შესრულება უზრუნველყო, იკისრა 21 დეკემბრისათვის მშენებლობის წლიური გეგმის 112 პროცენტით განაღდება, საშუალო დღიური გამომუშავების გეგმის 12 პროცენტით გადაჭარბება და მშენებლობის თვითღირებულების 6 პროცენტით შემცირება.

ამიერკავკასიის რკინიგზის ავეჯის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა განიხილეს თერთმეტი თვის მუშაობის შედეგები და შეიმუშავეს ღონისძიებანი სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

ხალხთა ბელადის დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ფაბრიკის კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე დადგა და იკისრა აითვისოს სკამების ნაკადური აწყობის სერიული წარმოება, შეამციროს ხე-ტყის მასალის დანაკარგები და გაუმჯობესოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, 20 დეკემბრისათვის შეასრულოს წლიური გეგმა, წლის ბოლომდე გამოუშვას 130 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, სახელმწიფოს მისცეს 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, დაამთავროს ხე-ტყის მასალის საწყობის მშენებლობა და გადმოსატვირთავი ბაქნის გადახურვა.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა ვადაზე ადრე შეასრულეს თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმა. 1 დეკემბრისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 14.232,3 ტონა თამბაქო გეგმით გათვალისწინებული 14.000 ტონის ნაცვლად. თამბაქოს დამზადება გრძელდება.

საქართველოს სსრ მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 4.000 ტონა თამბაქო.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. ალავიძე
სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში დ. ხანთაძე

აზერბაიჯანულ ენაზე გამოიცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი

ბაქო. (საკდესი). აზერბაიჯანის სახელმწიფო გამომცემლობამ აზერბაიჯანულ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთორმეტე ტომი. წიგნი გამოსაცემად გაამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალმა.

ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია მეორედ გამოიცა ლიტვურ ენაზე

ვილნიუსი. (საკდესი). პოლიტიკური ლიტერატურის რესპუბლიკურმა გამომცემლობამ მეორედ გამოსცა ლიტვურ ენაზე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მოკლე ბიოგრაფია.

წიგნი მასობრივი ტირაჟით გამოვიდა.

ბათუმის რევოლუციის მუზეუმი ამ დღეებში

დიდი გაცხოველებაა ამ დღეებში ბათუმის რევოლუციის მუზეუმში. მუზეუმის მნახველთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. მას დიდი ინტერესით ათვალიერებენ ათასობით მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები როგორც თვით აჭარიდან, ისე ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხიდან.

მუზეუმის ფართო და ნათელ დარბაზებში მოთავსებული მდიდარი და მრავალფეროვანი მასალები მკაფიო წარმოდგენას აძლევენ დამთვალიერებლებს ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის მთავარ პერიოდებზე.

განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი მუზეუმში ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის ამსახველი მასალები. მხატვრული ტილოები, სურათები და ფოტომონტაჟები გადმოსცემენ ამხანაგ სტალინის დაუღალავ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბათუმის მუშების დასარაზმავად და რსდმპ ლენინურ-სტალინური მიმართულების ბათუმის კომიტეტის შესაქმნელად.

მუზეუმის დამთვალიერებელთა წინაშე გადაშლილია ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის შედეგების ამაღელვებელი სურათები: მანთაშვილის ქარხნის მუშების 1902 წლის იანვრის პირველი მძლავრი გაფიცვა, 1902 წლის 8 მარტის მუშათა მანიფესტაცია, 1902 წლის 9 მარტის ბათუმის მუშების გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია და სხვ.

აქვე წარმოდგენილია სურათები და ფოტოდოკუმენტები, რომლებშიც ასახულია ამხანაგ სტალინის მიერ შემდგომ პერიოდში გაწეული დიდი მუშაობა ბათუმის მუშების დასარაზმავად, რევოლუციური პარტიული ორგანიზაციის განსამტკიცებლად.

მუზეუმი დიდ დახმარებას უწევს როგორც ბათუმისა და აჭარის მშრომელებს, ისე საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეების მშრომელებსაც ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის დაწვრილებით გაცნობაში.

ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის მუზეუმში გაიხსნება ახალი დარბაზი, სადაც წარმოდგენილი იქნება ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის 1904-1907 წლების პერიოდის ამსახველი მასალები: მხატვრული ტილოები, ფოტოდოკუმენტები, სქემები, რუკები, ძველი საარქივო მასალები და სხვ.

მხატვრულ ტილოებზე ასახული იქნება მუშათა ბარიკადები ბათუმში 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, ლენინისა და სტალინის შეხვედრა ტამერფორსში, დისკუსია მენშევიკების წინააღმდეგ 1905 წლის აპრილში და სხვ. დიდრონ ფოტოსურათებზე გადმოცემული იქნება თემები: ამხანაგი სტალინი ჭიათურელ პარტიზანებთან, ამხანაგი სტალინი ქართლ-კახეთის გლეხობასთან, ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი რსდმპ მეოთხე და მეხუთე ყრილობებზე, გ. კ. ორჯონიკიძე ბათუმის საპატიმროში (1905 წელი) და სხვ.

ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის ახალი მასალებით შეივსება აგრეთვე მუზეუმის სხვა განყოფილებებიც.

დ. კაიჩაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ახაშის მტს-ის ტრაქტორისტმა ვ. გრიგოლავამ 138 პროცენტით შეასრულა ხ�ტრაქტორო სამუშაოთა მიმდინარე წლის გეგმა და ახლა ტრაქტორის შეკეთებაზე მუშაობს

ფოტო რ. აკოფოვისა

მიიღეს ყურძნის უხვი მოსავალი

ცაგერი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობათა უმრავლესობამ ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანა. საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა ყურძნის დამზადების სახელმწიფო დავალება. სოფელ ლასურიაშის კოლმეურნეობა „კომუნიზმისაკენ“-ში (თავმჯდომარე ალ. მუშკუდიანი) 8,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 125 ცენტნერი ყურძენი. ამ კოლმეურნეობის წევრმა სოციალისტური შრომის გმირმა მერგოლურმა ალ. მუშკუდიანმა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 165 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს აგრეთვე ზუბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ 10 ჰექტარი ვენახიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 101 ცენტნერი ყურძენი, ხოლო მევენახეობის იმ რგოლში, რომელსაც ია ბენიძე ხელმძღვანელობს, 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე—125 ცენტნერი ყურძენი.

ალპანის კოლმეურნეობა „გლეხის წინსვლაში“ გასულ წელთან შედარებით ყურძნის ორჯერ მეტი მოსავალია მიღებული. ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებით თავი ისახელეს აგრეთვე სოფელ ორხვის, ტვიშის, ოყურეშის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

ერთ ოჯახს 12 ტონა კარტოფილი ერგო

ოზნი. (საკ. კორ.). სოფელ შქმერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა ტ. ჯოხაძე, წელს კარტოფილის უხვი მოსავალი მოიყვანეს. შრომადღეზე აქ 12 კილოგრამი კარტოფილი გაანაწილეს. კოლმეურნე შალვა ჯოხაძის ოჯახმა წელს 1.000 შრომადღე გამოიმუშავა და კოლმეურნეობიდან 12 ტონა კარტოფილი მიიღო, ღალაკო მაისურაძის ოჯახმა 740 შრომადღეზე—10 ტონა, სერაფიონ გლოველის ოჯახს 8 ტონა და 400 კილოგრამი ერგო, ხოლო ილარიონ გლოველის ოჯახს 8 ტონა და 40 კილოგრამი.

შქმერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მრავალია კოლმეურნეთა ისეთი ოჯახი, რომელთაც შრომადღეებზე 7-8 ტონა კარტოფილი ერგოთ.

მთელი მსოფლიოს მშრომელები ემზადებიან ღირსეულად აღნიშნონ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 70 სამოცდაათი წლისთავი

რუმინეთი

ბუქარესტი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთები აქვეყნებენ მშრომელთა მრავალ წერილს ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით, აგრეთვე იუწყებიან ამხანაგ ი. ბ. სტალინისათვის გაგზავნილ სიჩუქრების შესახებ, რომლებიც სიყვარულით დაამზადეს მუშებმა, გლეხებმა, მოსწავლეებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა.

„საყვარელო ამხანაგო სტალინ! — წერს ქალატოში ლუიჯი სტრენატი. — როდესაც სახლებს ვაშენებ, ვფიქრობ იმ ადამიანებსა და ბავშვებზე, კერძოდ ჩემს შვილებზე, რომლებიც გაიზრდებიან თავისუფალ ქვეყანაში, სადაც არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და სადაც ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრებენ. მე ვფიქრობ ყოველივე ამაზე და დიდი მადლობის გრძნობით გიგონებთ და გმადლობთ ყველაფრისათვის, რაც თქვენ ჩვენთვის და მთელი კაცობრიობისათვის გაკეთეთ“.

სოფლის კორესპონდენტები, რომლებიც რუმინეთის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოვიდნენ თათბირზე გაზეთ „სკინტეიის“ რედაქციაში, თავის კოლექტიურ წერილში ამხანაგ სტალინისადმი წერენ: „სულითა და გულით, უდიდესი სიყვარულით გისურვებთ, ამხანაგო სტალინ, ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს, რომ მიგვიძღოდეთ სულ წინ და წინ მშვიდობისა და ბედნიერებისაკენ“.

ბუქარესტი, 9 დეკემბერი. (საკდესი). „წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ყველაზე მაღალი დონე, სახსრების ყველაზე დიდი მომჭირნეობა!“. ამ ლოზუნგით მომდინარეობს ამჟამად მთელ რუმინეთში შეჯიბრება ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად.

უდიდესი ქარხნის უ. კ. რ.-ის კოლექტივმა იკისრა შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 7 პროცენტით და 21 დეკემბრისათვის დაზოგოს 200 ათასი ლეი.

ბაკეუს მაზრის კომინეშტის ქვანახშირის აუზის მეშახტეებმა ვალდებულება იკისრეს დეკემბრის გეგმა შეასრულონ 15 პროცენტის გადაჭარბებით, შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 3 პროცენტით, ქვანახშირის თვითღირებულება შეამცირონ 5 პროცენტით.

ბუქარესტის რკინიგზის დეპოს ხუთასოვანმა მემანქანეებმა, რომლებიც საბჭოთა ნოვატორ ლოკომოტივებზე მეთოდით მუშაობენ, განაცხადეს, რომ შრომის ნაყოფიერებას გაადიდებენ 10 პროცენტით და 21 დეკემბრისათვის დაზოგავენ 300 ტონა თხევად სათბობს და 1.500 ტონა საცხებ მასალას.

ქალაქ ხუნედოარის მეტალურგიული კომბინატის № 1 მარტენის ღუმელის ფოლადმდნობელებმა უკვე მოიპოვეს თვალსაჩინო წარმატები: 4 დეკემბრს მათ სარეკორდო ვადაში—4 საათსა და 30 წუთში გამოადნეს ფოლადი.

ბუქარესტი, 9 დეკემბერი. (საკდესი). ბუქარესტში შედგა რუმინეთის მუშათა პარტიის ბუქარესტის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება წარმოების მოწინავეებთან ერთად, მიძღვნილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი. მოხსენები თემაზე: „ლენინი და სტალინი—ახალი ტიპის პარტიის ორგანიზატორები“ გააკეთა რუმინეთის მუშათა პარტიის ბუქარესტის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ალექსანდრუ დრაგიჩმა.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 9 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ხალხები ემზადებიან, რომ ღირსეულად შეხვდნენ დიდი სტალინ დაბადების 70 წლისთავს.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის, ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის ერთიანი კავშირის ეროვნული კომიტეტების, პროფკავშირული ორგანიზაციების, ჩეხოსლოვაკიის ქალთა საბჭოს ორგანიზაციებისა და იმ ეროვნული ფრონტის ყველა ორგანიზაციისა და პარტიის, რომელსაც სათავეში უდგას კომპარტია, წევრთა კრებები მიმდინარეობა გენერალისიმუს სტალინისადმი ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა უდიდესი სიყვარულისა და ერთგულების ნიშნით.

რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მოედნებსა და ქუჩებს სადღესასწაულო იერი ეძლევა. ქალაქი გოტვალდოვი — ჩეხოსლოვაკიის მსუბუქი მრეწველობის უდიდესი ცენტრი — ემზადება ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გამოფენის გახსნისათვის, რომელიც მიძღვნილია დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. სურათები, დიაგრამები, დოკუმენტალური მასალა ოლქის მშრომელებს გააცნობენ მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისა და ძმობისათვის საბჭოთა კავშირის მშრომელთა ძლევამოსილი ბრძოლის ყველა ეტაპსშესანიშნავ ამბავს, ბრძოლისს, რომლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელია გენერალისიმუსი სტალინი.

გამოფენა ასახავს აგრეთვე საბჭოთა ხალხის იმ ისტორიული გამარჯვების უდიდეს გავლენას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში სოციალიზმის აშენებაზე, რომელიც მოპოვებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მეორე მსოფლიო ომში.

რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოდის პატაკები სტალინური ცვლებისა და ვახტების ახალი შრომითი წარმატების შესახებ.

ოსტრავსკა-კარვინსკის ქვანახშირის აუზის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი, რომელიც „სტალინური თვის“ თაოსანია, გეგმებს სისტემატურად 118 პროცენტით ასრულებს. სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის თაოსნობას მიჰბაძეს ოსტრავსკა-კარვინსკის აუზის — ჩეხოსლოვაკიის უდიდესი ქვანახშირის აუზის დანარჩენმა შახტებმა.

ამავე დროს სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად წარმოვებს შეჯიბრება აუზის საუკეთესო დამკვრელი ბრიგადის წოდებისათვის.

გენერალისიმუს სტალინისათვის ჩეხოსლოვაკიის ხალხთა საჩუქრების გამოფენას პრაღაში ათვალიერებენ რესპუბლიკის დედაქალაქისა და სხვა ქალაქებისა და სოფლების ათიათასობით მშრომელი.

ჩეხოსლოვაკიის გამომცემლობანი ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის უშვებენ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ წიგნებს.

პოლონეთი

ვარშავა, 8 დეკემბერი. (საკდესი). ტომაშუვის ხელოვნური აბრეშუმის ფაბრიკის მუშები თავის წერილში ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი იუწყებიან, რომ, სურთ რა აღნიშნონ მისი დაბადების 70 წლისთავი, მათ შეიტანეს წინადადება მანქანების ჩქარი რემონტის ჩატარების შესახებ და მოწოდებით მიმართეს პოლონეთის ყველა საწარმოს კოლექტივებს—გააჩაღონ შეჯიბრება მანქანების შეკეთებაში ამ მეთოდის საუკეთესოდ გამოყენებისათვის.

ტომაშუვის ფაბრიკის მუშებმა ვალდებულება იკისრეს შეამცირონ წარმოების ნარჩენები და წლის ბოლომდე დაზოგონ 130 მილიონი ზლოტი.

„პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობაზე დაყრდნობით, — წერენ ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი წერილში ტომაშუვის ფაბრიკის მუშები, — პირობას გაძლევთ, რომ არ გადავუხვევთ ჩვენ მიერ არჩეულ სოციალიზმის გზას და თქვენთან ერთად ვიარეთ ამ გზით საბოლოო გამარჯვებამდე“.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

ფხენიანი, 9 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაჩაღდა მზადება ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისათვის. საწარმოებში, დაწესებულებებში, სკოლებში, ინსტიტუტებსა და სახალხო არმიის ნაწილებში ეწყობა საუბრები დიდი სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. რესპუბლიკის ყველა ბიბლიოთეკაში იმართება ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაშრომების გამოფენა.

კორეის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს მოგაჯარ სახელოვან იუბილეს. გაზეთები აქვეყნებენ სტატიებს ამხანაგ სტალინისა და მის ნაშრომთა შესახებ.

კორეულ ენაზე დაიბეჭდა ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველი 5 ტომი, აგრეთვე ხელახლად გამოიცა წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ საიუბილეო თარიღისათვის გამოცა კრებული „სტალინი და საბჭოთა არმია კორეელი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებში“.

გერმანია

ბერლინი, 9 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის მშრომელები და გერმანიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა ემზადებიან ღირსეულად აღნიშნონ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავი.

გაზეთმა „ფორვერტსმა“ გუშინ გამოაქვეყნა ბერლინის მოსახლეობისადმი გერმანიის ეროვნული სოციალისტური პარტიის საქალაქო კონფერენციის მიმართვა, რომელშიც ნათქვამია:

„ბერლინელებო! 21 დეკემბერს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელები იდღესასწაულებენ ი. სტალინის დაბადების 70 წლისთავს. გერმანელი ხალხი აგრეთვე ზეიმით ხვდება ამ დღეს, რადგან სტალინის სახით ჩვენს ხალხს ჰყავს ყველაზე უკეთესი და ყველაზე გულწრფელი მეგობარი.

ბერლინელებო! თქვენ გახსოვთ, რომ როცა გერმანელმა ხალხმა ფაშისტებს თავი გამოაყენებინა სამარცხვინო დაპყრობითი ლაშქრობისათვის სოციალიზმის პირველი ქვეყნის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სტალინმა ნათლად და არაორაზროვნად განაცხადა, რომ არ შეიძლება გერმანელი ხალხის გაიგივება გერმანელ ფაშისტებთან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისადმი სტალინის ისტორიული დეპეშა არის განურჯობა საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული პოლიტიკისა, მეგობრობისა და დახმარების პოლიტიკისა ჩვენს ძმის ბრძოლაში მთელი გერმანიის თვითგამორკვევის უფლებისა და თავისუფლებისათვის. ეს დახმარება ძალას გვმატებს გერმანიისა და მისი დედაქალაქის ბერლინის გათიშვის დაძლევისათვის, ჩვენი სრული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, საოკუპაციო და რეპარაციის სტატუტების სამარცხვინო ბორკილისაგან განთავისუფლებისათვის.

ინგლისელ-ამერიკელი ბატონები დასავლეთ გერმანიაში და დასავლეთ ბერლინში გერმანელებს ისე ეპყრობიან, როგორც კოლონიურ ხალხს, სასტიკად ანმობენ თავისუფლებისადმი ყოველგვარ მისწრაფებას, ახდენენ საწარმოთა დემონტაჟს და ხურავენ მათ, რითაც ზრდიან უმუშევართა არმიას. ხალხის ფართო მასებმა უმაგალითო გაჭირვებასა და სიღატაკეს განიცდიან, მაშინ როცა ერთი მუჭა კაპიტალისტები და მოლალატენი მდიდრდებიან.

თვითეულ ბერლინელს შეუძლია დარწმუნდეს იმაში, რომ არსებობს მეორე გზაც. ეს გზა — საკუთარი ძალებით აღდგენის გზა, რასაც დაადგა დემოკრატიული მაგისტრატი ობერბურგომისტრ ებერტის მეთაურობით, უზრუნველყოფს ჩვენს სრულ დამოუკიდებლობას და მოქმედების თავისუფლებას. ჩვენ შევძლეთ ჩვენი სახალხო საწარმოთა გაფართოება და ახლა აღარ გვყოფნის კვალიფიციური მუშახელი. ჩვენი გაერთიანებული ღონისძიებანი, ჩვენი აქტივისტების შრომითი მიღწევები თვიდან თვემდე ამაღლებენ მთელი მოსახლეობის საარსებო დონეს.

ბერლინელებო! ამ გზაზე ჩვენ მოვიპოვეთ წარმატებანი მხოლოდ საბჭოთა კავშირის ქმედითი დახმარების წყალობით. თუ ჩვენ დიდი სახელმწიფო მოღვაწის სტალინისა და საბჭოთა ხალხის ნდობის ღირსნი ვიქნებით, ამით დავამტკიცებთ, რომ წარსულის გაკვეთილებს ჩვენთვის ამბოდ არ ჩაუვლია...

გაუმარჯოს მეგობრობას მძლავრ საბჭოთა კავშირთან!

გაუმარჯოს მეგობრობას მუშათა კლასისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ძალების ბელად სტალინთან!

გაუმარჯოს სტალინს, გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობარს!“

გერმანიის დემოკრატიული პრესა აქვეყნებს საინფორმაციო მასალებს საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ი. ბ. სტალინის იუბილესათვის მზადების შესახებ. ამავე დროს გაზეთები ბეჭდავენ გერმანიის მხარეებიდან მიღებულ ცნობებს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც გერმანიაში მუშათა ორგანიზაციები ახორციელებენ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა დასახმარებლად

როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „სოციალისტური საზოგადოების აგება სსრ კავშირში“

თემა „სოციალისტური საზოგადოების აგება სსრ კავშირში“ მოიცავს ოცი წლის პერიოდს— 1921-დან 1941 წლამდე, რომლის მანძილზეც საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით აღადგინა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ისტორიაში პირველად აეგო სოციალისტური საზოგადოება.

ამ თემის შესწავლით მსმენელებმა ნათელი წარმოდგენა უნდა მიიღონ იმაზე, თუ როგორ გადაქცეა გმირმა საბჭოთა ხალხმა საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის—კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგად ჩვენი ქვეყანა მძლავრ სოციალისტურ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, რომელიც მზად არის აქტიური თავდაცვისათვის.

სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი სამშობლოს მშრომელთა თავდადებული ბრძოლის გაცნობა ხელს შეუწყობს ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის დანერგვას, უფრო გაუძლიერებს მსმენელს კანონიერი სიამაყის გრძნობას სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისათვის, ჩვენი ხალხისათვის სოციალისტური სამშობლოსათვის, მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისათვის, რომელსაც — საბჭოთა ხალხი მიჰყავს ლენინური გზით კომუნიზმისაკენ.

I

თემის „სოციალისტური საზოგადოების აგება სსრ კავშირში“ შესწავლა გათვალისწინებულია ექვს ორსაათიან მეცადინეობაზე. პირველი მეცადინეობა მიეძღვნება კარს „სახალხო მეურნეობის აღდგენა“.

მეორე თემაზე დასკვნითი საუბრის შემდეგ პროპაგანდისტი იწყებს საუბარს ახალი თემის პირველ კარზე „სოციალისტური საზოგადოების აგება“. პროპაგანდისტი ახასიათებს მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობას სამოქალაქო ომის დამთავრების მომენტისათვის. ჩვენი ქვეყანა მაშინ სამეურნეო ნგრევის მარწუხში იყო, რაც მძიმე გავლენას ახდენდა მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობაზე. პროპაგანდისტი განმარტავს სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ ლენინურ-სტალინური ბრძნული და შორსმჭვრეტელური მობრუნების ისტორიულ მნიშვნელობას, ლაპარაკობს ლენინისა და სტალინის როლზე, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ პარტიის X ყრილობის, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე გადასვლის შესახებ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შესახებ, რომელიც შეესაბამებოდა მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანებს. პროპაგანდისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა მიახლოება პროლეტარიატის კლასობრივი მტრების — კაპიტალისტების, ვაჭრების, კულაკებისა და პარტიის შიგნით ტროცკისტთა და ბუხარინელთა სახით მათი აგენტურის გაფთრებული წინააღმდეგობის პირობებში.

სამოქალაქო ომში გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკის უქონლად. სანამ ომი წარმოებდა, გლეხობა თანხმდებოდა სასურსათო გაწერაზე და ვერ ამჩნევდა საქონლის ნაკლებობას. როცა მემამულეთა დაბრუნების საფრთხემ განვლო, გლეხები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკის გამო. შიმშილისა და დაღლილობის ნიადაგზე გამომეღვნენა უკმაყოფილება მუშათა ნაწილშიც.

„პარტიის წინაშე, — ნათქვამია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“,—დადგა საკითხი პარტიის ახალი გზის შემუშავების შესახებ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა საკითხში, რომელიც ახალი ვითარების შესაბამისი იქნებოდა“.

პარტია შეუდგა ამ გზის შემუშავებას.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლამ განამტკიცა მუშათა და მშრომელი გლეხობის კავშირი, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებით გლეხობის დაინტერესების ამაღლებას, ხელი შეუწყო საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით პარტია ცდილობდა უფრო სწრაფად აღედგინა მრეწველობა და ამის საფუძველზე განედევნა კერძო კაპიტალიზმი, რათა, დაეგროვებინა რა ძალებსა და საშუალებებს, შეექმნა მძლავრი ინდუსტრია, სოციალიზმის ეკონომიური საფუძველი, და შემდეგ გადასულიყო გადამწყვეტ შეტევაზე კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, მოესპო კაპიტალიზმის ნაშთები ჩვენს ქვეყანაში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში შესამჩნევი იყო კაპიტალისტური ელემენტების ერთგვარი ზრდა, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთ მხარეზე გადაებიჯებინათ საშუალო გლეხები. პარტია შეუპოვრად იბრძოდა კულაკობის წინააღმდეგ, ზღუდავდა მის ექსპლოატორულ ტენდენციებს. პარტია აბორიგელებდა საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავშირისა და ღარიბ გლეხებზე დაყრდნობის პოლიტიკას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა გარდუვალი ეტაპია ყველა ქვეყნისათვის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის დროს. პროპაგანდისტი მსმენელთა ყურადღებას მიაპყრობს იმის, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ, წარმატებით იყენებენ ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს გამოცდილებას ახალი ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების დარგში.

პარტიამ გიგანტური შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღა საბჭოების ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების განსამტკიცებლად.

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის გაჩაღებული ბრძოლის პერიოდში პარტიასა და მუშათა კლასს თავს დაატყდათ უდიდესი უბედურება — 1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი და ხელმძღვანელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. პროპაგანდისტი ლაპარაკობს, რომ გლეხის დღეებში მუშათა კლასი უფრო მჭიდროდ დაარაზმა ბოლშევიკური პარტიის გარშემო. მაშინ პარტიაში შევიდა 240 ათასზე მეტი მოწინავე რევოლუციონერი და შეგნებული მუშა.

ლენინის დროს, პარტიის დროზე მაღლა ასწია ამხანაგმა სტალინმა, ლენინის დიდმა თანამებრძოლმა, მისი უკვდავი საქმის განმგრძობმა. სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობის სამგლოვიარო სხდომაზე ამხანაგმა სტალინმა პარტიის სახელით დადო დიადი ფიცი—შეესრულებინა ლენინის ანდერძი. ეს იყო ბოლშევიკური პარტიის ფიცი თავისი მასწავლებლისა და ბელადის ლენინის წინაშე.

საბჭოების ყრილობის სამგლოვიარო სხდომაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ ლენინმა, მიდიოდა რა ჩვენგან, გვიანდერძა მაღლა გვეჭიროს და წმიდად დავიცვათ პარტიის წევრის მაღალი წოდება, თვალისჩინივით გავფაფხოლოდეთ ჩვენი პარტიის ერთიანობას, დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა, მთელი ძალებით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი, განვამტკიცოთ და გავფაფხოოო

„სხვისი ჩრდილი“

რუსთაველის სახელობის თეატრის დადგმა

წაბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო დიდ ქალაქში ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის მთელი კოლექტივი პროფესორ სერგეი ტრუბნიკოვის ხელმძღვანელობით იბრძვის შავი ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინის აღმოჩენისათვის.

ცხოველებზე მრავალი ცდის შემდეგ საჭიროა ასეთი ცდა ადამიანზეც მოახდინონ. ინსტიტუტის პარტორგანიზაციის მდივანი გრიგოლ რიჟოვი, პირველი კისრულობს თავის თავზე ცდის მოხდენას და აიცრის შავი ჭირის ვაქცინას. ინსტიტუტის კოლექტივი დარწმუნებულია, რომ ცდა ბრწყინვალედ დამთავრდება და რიჟოვს ხიფათი არ მოელის. მაგრამ ყველანი შეშფოთდებიან, როცა შეიტყობენ, რომ იზოლიატორში მოთავსებულ რიჟოვს სიცხემ აუწია. ინსტიტუტის ეს მღელვარება უფრო მძაფრდება, როცა სერგეი ტრუბნიკოვის და, მეცნიერი მუშაკი ოლღა ტრუბნიკოვა ატყობინებს ინსტიტუტის მუშაკებს, რომ მისმა ძმამ თავისი აღმოჩენის პირველი ნაწილის ტექნოლოგიის ხელნაწერი, რომელიც მიკრობებს გაძლიერებას ეხება, პროფესორ ვიქტორ ოკუნევს გაატანა ამერიკელი მეცნიერებისათვის გადასაცემად.

კარგი ბაქტეოროლოგი ტრუბნიკოვი შეპყრობილია განდიდების მანიით. მისი კაბინეტის კედლები სავსეა საკუთარი პორტრეტებით, რასაც სამართლიანად უსაყვედურებს ტრუბნიკოვს პროფესორი ივანოვი. პატივმოყვარე ტრუბნიკოვს სასახელოდ მიიჩნია, თუ უცხოეთში მისი სახელი, როგორც მეცნიერისა, ცნობილი იქნება. სწორედ ამ მიზნით ის უგზავნის ხელნაწერს უცხოელებს. პოლიტიკურად ბეცი ტრუბნიკოვი ვერ ხედავს, რომ დედამიწის მეორე ნახევარსფეროში მეცნიერება დიდი ხანია კაპიტალიზმის ტყვე და მონა-მორჩილია. ტრუბნიკოვის ცდების მიზანია ადამიანთა კეთილდღეობა. მისმა აღმოჩენილმა ვაქცინამ შავი ჭირისა და სხვა გადამდებ სნეულებისაგან უნდა იხსნას კაცობრიობა. მაგრამ ტრუბნიკოვს ავიწყდება, რომ ასე როდი ფიქრობენ იქ, იმპერიალისტთა ბანაკში, კაპიტალიზმის სამყაროში. ტრუბნიკოვს ვერ წარმოუდგენია, რომ მსოფლიოს მეორე ნახევარსფეროში მცხოვრებ მეცნიერთ შავი ჭირის საწინააღმდეგო საშუალება კი არ აინტერესებთ, არამედ მათთვის საჭიროა მიკრობები სამხედრო მიზნებისათვის, ადამიანთა საჟლეტად.

მახლობლები არწმუნებენ სერგეი ტრუბნიკოვს გამოასწოროს შეცდომა და დაიბრუნოს ხელნაწერი. ამ უკანასკნელს თავისი მოქმედება მაინც სწორად მიაჩნია, მაგრამ მობეზრდება მახლობლების დაუსრულებელი ჩხუბი და დეპეშით აცნობებს პროფესორ ოკუნევს — დაუბრუნოს ხელნაწერი. ოკუნევისაგან პასუხი არ არის. ტრუბნიკოვი თანდათანობით ხვდება, რომ შეცდომა ჩაიდინა. თავისი დანაშაული მას უფრო ნათლად წარმოუდგება სტუმრად ჩამოსულ ოლღას მეუღლე ინჟინერ ანდრეი მაკეევთან საუბრისას. ინჟინერი მაკეევი ციმბირში „ენერგოშენებლობის“ დაგეგმვაზე მუშაობს. როცა ის შეიტყობს ცოლისძმის შემცდარ ნაბიჯს, დაუყოვნებლივ მიფრინავს ოკუნევთან ხელნაწერის წამოსაღებად. რიჟოვს კი სიცხე არ უნელდება, თანდათანობით მაღლა იწევს.

ინსტიტუტის მთელი კოლექტივი შეწუხებულია. ხელნაწერის აბბავი და რიჟოვის ტემპერატურა—აი კოლექტივის შეშფოთების მიზეზი. მაგრამ ყველაზე მეტად გრიგოლის სიცხის აბბავი აწუხებთ ცოლ-ქმარ საავტეევებს. გრიშა ხომ მათი შვილობილია, ძათ ხომ სხვა შვილი არა ჰყავთ. გრიშა კი იზოლატორშია და შეიძლება მავი ჭირის ძსხვერპლი გახდეს, დიდი ძნიძვნელობის პირველი ცდის მსხვერპლი. მაგრამ მშობლიურ გრძნობაზე ხომ უფრო მაღლა დგას საერთო საქმე, ქვეყნის საქმე და აი მოხუცი სიმონი ძიდის ტრუბნიკოვთან, თავის პირდაპირ უფროსთან.

საავტეევი. თქვენ უნდა მომცეთ წერილი ოკუნევთან და დამავალოთ ძიეღო თქვენი ხელნაწერი. ძე დიდი ხანია ვფიქრობდი და მოვითხოვ ამას.

ტრუბნიკოვი. თქვენ შინიდან მოდიხართ?

საავტეევი. არა!

ტრუბნიკოვი. ინსტიტუტიდან?

საავტეევი. დიახ!

ტრუბნიკოვი. თქვენ ხომ იცით რა დაეშართა დღეს გრიგოლ ივანიჩს.

საავტეევი. დიახ, ვიცი!

ტრუბნიკოვი. და მაინც გსურთ ხვალ გაემგზავროთ. (ტელეფონის ზარი. ტრუბნიკოვი იღებს ტელეფონის მილს). გამოგზავნეს! კარგი. რამდენია ტემპერატურა? (მილს დასდებს).

საავტეევი. ორმოცი?

ტრუბნიკოვი. დიახ! და მაინც აპირებთ გამგზავრებას.

საავტეევი. დიახ.

უბრალო ადამიანში ქვეყნის საქმე სძლევს პირადულს, მამობრივ გრძნობას, ისევე როგორც დიდი ხნის უნახავ საყვარელ მეუღლესთან მოსული მაკეევი დაუყოვნებლივ მიფრინავს ხელნაწერისათვის.

ახლა კი მთელი სიცხადით დაინახა ტრუბნიკოვმა თავისი შეცდომა. ყველა გულისფანცქალით მოელის მაკეევის დაბრუნებას. აი გამოჩნდა მაკეევიც, ხელნაწერი გადასცა ტრუბნიკოვს და თანაც უთხრა, რომ ოკუნევმა მართალია ხელნაწერის პირი გადაიღო, მაგრამ ვერ მოასწრო უცხოელებისათვის გადაცემა და თავი მოიკლაო.

რიჟოვს სიცხე დაუვარდა. ცდა ბრწყინვალედ დაგვირგვინდა.

კოლექტივი ზეიმობს, მაგრამ მისი ხელმძღვანელი კვლავ ფიქრებს შეუპყრია. მაშ მოტყუვდა, დანაშაული ჩაიდინა, ჯაშუშ ოკუნევს დაუკავშირდა? ტრუბნიკოვი სთხოვს ვიდრე ახალი დირექტორი მოვიდოდეს, გასაღები ჩაიბაროს მისმა თანაშემწემ ოლღამ, მხოლოდ ნება დართონ ერთ საათს დარჩეს თავის კაბინეტში მარტო და დაწეროს ახსნა-განმარტება, თუ საიდან დაიწყო ყოველივე ეს. მაგრამ ტრუბნიკოვს ეს არ სჯერდება. მაკეევი ატყობინებს, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით ტრუბნიკოვი რჩება დირექტორის თანამდებობაზე და ამით ეძლევა საშუალება დაწყებული საქმე დამთავროს, შეცდომა თავდადებული შრომით გამოისყიდოს.

კონსტანტინე სიმონოვის აღნიშნული პიესა თავისი მიზანდასახულობით, თემატიკით, პუბლიცისტიკური სიმძაფრით მაყურებელს იტაცებს.

რუსთაველის სახელობის თეატრმა ჩვეულებრივი ოსტატობით განასახიერა ეს პიესა. ამაშია სპექტაკლის დამდგმელის ხელოვნების დაფასახურებული ძოღვაწის დ. ალექსიძის და მხატვრის დ. თავაძის დამსახურება. სადად გაფორმებული, ყოველივე ზედმეტისაგან განტვირთული სცენა საშუალებას აძლევს აქტიორებს გაძოავლინონ თავიანთი ოსტატობა. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ასახიობებმა შეძლეს პიესის გმირების რელიეფურ სახეთა შექმნა.

სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი დავითაშვილი სერგეი ტრუბნიკოვის მთლიან სახეს ქმნის. თუ პირველ სცენებში ტრუბნიკოვი გვევლინება როგორც პატივმოყვარე, ბეცი პოლიტიკოსი, ასახიობი დიდი ოსტატობით გვიჩვენებს იმ სულიერ ძვრებს, რაც ტრუბნიკოვში ხდება, როცა იგი შეიგრძნობს თავის შეცდომას და დანაშაულს.

მოწინავე მეცნიერის და საბჭოთა პატრიოტი ქალის დამაჯერებელ სახეს ქმნის ოლღა ტრუბნიკოვას როლის შემსრულებელი რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე.

ახალგაზრდაა სერგეი ტრუბნიკოვის ასული ელენე, მაგრამ გრძნობ, რომ იგი კარგად ერკვევა შექმნილ ვითარებაში და მზად არის მსხვერპლად შეწიროს თავის მოვალეობას, მტლად დაედოს თავის ქვეყანას. ასეთი გაგებით დამაჯერებლად გვიხატავს ელენეს მსახიობი თ. თეთრაძე.

თავდადებული მეცნიერის, ბუნების მოტრფიალე, პირდაპირი ადამიანის — პროფესორ ივანოვის სრულყოფილი სახე მოგვცა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დიმიტრი მჟავიამ.

ყურადღებას იპყრობენ თავიანთი გულწრფელი თამაშით ინსტიტუტის უბრალო, მაგრამ მეტად საჭირო მუშაკის სემიონ სავატეევის როლის შემსრულებელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. სარჩიმელიძე და მარიამ სავატეევის როლში მსახიობი ალ. სიხარულიძე.

პიესის მეტად კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენს ინჟინერი მაკეევი. ეს უკანასკნელი იმ კატეგორიის ადამიანებს ეკუთვნის, რომლებიც ქმნიან ახალ ცხოვრებას, თავდადებულად იბრძვიან ქვეყნის კეთილდღეობისათვის. პრინციპული, პირდაპირი, თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი, კარგი სპეციალისტი მაკეევი მომხიბვლელია. იგი სწრაფად ერკვევა შექმნილ ვითარებაში და ძალღონეს არ იშურებს დასახული მიზნის განხორციელებისათვის. რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ალ. აფხაიძეს ყველა შესაძლებლობა აქვს მაკეევის დამაჯერებელი სახე შექმნას, რაც ჯერჯერობით სავსებით მიღწეული ვერ არის.

ახალგაზრდა მსახიობი გ. ნავრრზაშვილი, ვიქტორ ოკუნევის როლში თუ პირველ მოქმედებაში ოდნავ თეატრალურია, შემდეგ სურათში ბუნებრივია და კარგად ასრულებს თავის როლს.

ვიქტორ ოკუნევის მეუღლის გალინას დასამახსოვრებელი სახე შექმნა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისმა ნ. მესხიშვილმა.

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალული, ნათელი რეალისტური სპექტაკლი „სხვისი ჩრდილი“ რუსთაველის თეატრის საყურადღებო წარმოდგენაა.

ა. გურთიკაშვილი

ᲖᲠᲐᲥᲭᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 5 დეკემბრის ცნობებით)

მტს-ების დასახელება	1949 წლის მეოთხე ფსარტალში ბენმით შესაბამები ტრაქტორები	გეგმის შესრულება პროცენტებით
გულრიფშის	11	72,7
გალის	11	45,5
ოჩამჩირის	6	100,0
გუდაუთის	8	25,0
ტამიშის	7	28,6
ქობულეთის	9	55,6
მახარაძის	8	75,0
ლანჩხუთის	13	30,8
აბაშის	13	61,5
ცხაკაიის პირველი	13	46,2
ცხაკაიას მეორე	3	—
გეგეჭკორის	10	30,0
ზუგდიდის	13	61,5
ხობის	11	63,6
ქუთაისის	15	100,0
სამტრედიის	10	120,0
წულუკიძის	10	—
ვანის	9	88,9
ზესტაფონის	14	57,8
ჩხარის	2	100,0
ხაშურის	17	76,4
აგარის	20	10,0
ქარელის	13	15,4
რუისის	18	66.7
გორის	16	12,5
ახალსოფლის	21	47,6
შინდისის	17	35,3
ჯასების	17	35,3
წითელქალაქის	16	43,8
დუშეთის	14	57,3
სტალინირის	11	54,5
ქსოვისის	12	50,0
ახალქალაქის	23	47,8
ვაჩიანის	11	118,2
ბოგდანოვკის	19	157,9
ახალციხის	18	55,6
თიანეთის	12	16,7
წალკის	16	50,0
ბაზკიჩეთის	15	—
ასურეთის	22	36,4
გურჯაანის	26	11,5
კაჭრეთის	31	—
ულიანოვკის	26	26,9
წნორის	25	64,0
ალაზნის	25	48,0
წითელწყაროს	33	45,5
შირაქის	28	25,0
თელავის	17	35,3
ახმეტის	16	43,8
ყვარლის	22	40,9
ლაგოდეხის	26	7,7
აფენის	9	22,2
დიღმის	8	25,0
მარტყოფის	19	10,5
თელეთის	18	33,3
მცხეთის	12	25,0
ყვარლის	24	33,3
ბორჩალოს	24	25,0
შულავრის	13	23,1
ქაჩაღნის	8	62,5
ბოლნისის	16	43,8
სავარეჯოს	20	20,0
ირრის	14	21,4
სართიჭალის	16	37,5
სულ საქართველოს სსრ	1.000	41,8

ᲮᲜᲐᲕᲔᲜ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲯᲔᲑᲘᲗ

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა გადაჭარბებით შეასრულეს მზრალად ხვნის გეგმა. ნაცვლად 8.800 ჰექტარისა მოხნულია 8.805 ჰექტარი, მათ შორის შაქრის ჭარხლისათვის ღრმად —1.500 ჰექტარი. რაიონის კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოხნან 500 ჰექტარი.

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲠᲚᲕᲔᲕᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲠᲝᲜ

სოფელ ახმეტის კოლმეურნეობა „პირველი მაისი“ (თავმჯდომარე შ. ერთგულაშვილი) რაიონის ცენტრში მდებარეობს. ამიტომაც ვფიქრობდით, რომ ამ კოლმეურნეობაში არ უნდა ყოფილიყო სერიოზული ნაკლოვანებანი. სამწუხაროდ, ასე არ არის. კოლმეურნეობაში უხეშად არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდებას. კოლმეურნეთა 30-40 პროცენტს მიღებული აქვს იმაზე მეტი პროდუქტები, ვიდრე გამომუშავებულ შრომადღეთა მიხედვით ეკუთვნით. კოლმეურნე გიორგი ოქროცვარიძეს გასულ წელს ზედმეტად მიღებული აქვს 320 კილოგრამი ხორბალი. მას დღემდე არ დაუფარავს ეს დავალიანება. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ წელს კიდევ მისცა მას ხორბალი „ავანსად“. დავით გილაძეს კოლმეურნეობის 55 კილოგრამი ხორბალი მართებს. წელს მას ეს ვალი არ დაუფარავს. მიხეილ ძარღუაშვილს არაკუთვნილებისამებრ წაღებული აქვს 115 კილოგრამი ხორბალი, ალექსი კოტორაშვილს — 74, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს მიხეილ მაღალაშვილს — 150, გიორგი კორღანიძეს — 193, პელაგია ქავზაურს — 62, ნატალია ჯანქაიძეს — 79, სიმონ გიგაურს — 75 კილოგრამი და სხვ.

ასე ხდება იმ დროს, როცა ზოგიერთ კოლმეურნეს ჯერ კიდევ არ მიუღია კუთვნილი პროდუქტები. კოლმეურნე ივანე ცოცხალაშვილს 41 კილოგრამი ხორბალი კიდევ ერგება კოლმეურნეობიდან, სოფიო მახარიაშვილს — 49, სილოვან გილაძეს — 23 კილოგრამი.

ადგილი აქვს საკოლმეურნეო მიწების დატაცებას. საკარმიდამო ნაკვეთების გადიდებითა და თვითნებურად დაკავებით საკოლმეურნეო მიწები დატაცებული აქვს 20-ზე მეტ კოლმეურნეს. სანდრო ქინქლაძეს მითვისებული აქვს ერთი ჰექტარი მიწა, იოსებ შოშიაშვილს — ნახევარი ჰექტარი, არჩილ გილაძეს — 0,25, ივანე ჭიჭიაშვილს — 0,40, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს მიხეილ მაღალაშვილს — 0,45, მანია გილაძეს — 0,40 ჰექტარი და სხვ. ექიმი საშა მამათელაშვილი სამ წელზე მეტია, რაც თვითნებურად ფლობს კოლმეურნეობის კუთვნილ 0,07 ჰექტარ ვენახს.

გამგეობა სრულებით არ იწუხებს თავს დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციისათვის. კოლმეურნეობის ყოფილ ბუხჰალტერს მიხეილ რევაზიშვილს 1.120 მანეთი მართებს კოლმეურნეობისა, ყოფილ შოფერს ბიძინა ერისთავს — 1.491 მანეთი, კოლმეურნე დავით ცოცხალაშვილს — 1.200 მანეთი, ტრაქტორისტებზე 16.915 მანეთი დავალიანება ირიცხება. მათ შორის ტრაქტორისტ ე. მჭედლიშვილს მართებს 2.873 მანეთი, თ. ნადირაშვილს — 1.895, ა. ოქროცვარიძეს — 1.774 მანეთი და ა. შ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე თვითნებურად მოქმედებს და არღვევს საკოლმეურნეო დემოკრატიას. 6 თვეზე მეტია, რაც კოლმეურნეთა საერთო კრება არ მოწვეულა. მეცხოველეობის განვითარების საშწლიანი გეგმა გამგეობის სხდომაზე განიხილეს და დაადგინეს, რომ ეს საკითხი წევრთა საერთო კრებაზე გადაეტანათ, მაგრამ ეს კრება აქამდე არ მოუწვევიათ. წელს კოლმეურნეობიდან 40 ღორი და 3 ცხვარი გაყიდეს. ამის შესახებ საერთო კრებაზე არ უმსჯელიათ. საერთო კრებაზე რომ ეს საკითხი დაეყენებინათ, კოლმეურნეები ღორების გაყიდვაზე არ დათანხმდებოდნენ, რადგან ღორის სუნლადობის გეგმის შესრულებას 50 სული უკლიათ. ამას წინათ შრომადღეზე ავანსად 2 კილოგრამი სიმინდი გასცეს. ამის დასადგენად საერთო კრების მოწვევა ზედმეტად მიიჩნიეს.

სუსტია სარევიზიო კომისიის მუშაობა. საკოლმეურნეო წესდებაში ჩაწერილია, რომ „სარევიზიო კომისია რევიზიას ახდენს წელიწადში ოთხჯერ“. წესდების ეს მოთხოვნა კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ დავიწყებულია. სარევიზიო კომისიას წელს არც ერთხელ არ შეუმოწმებია კოლმეურნეობის გამგეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა. მიუხედავად ამისა, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს მიხეილ მაღალაშვილს ეყო გამბედაობა მოეთხოვა შრომადღეების დარიცხვა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობისათვის.

სარევიზიო კომისიამ რომ გამგეობის საქმიანობა არ შეამოწმა, ეს არც გასაკვირია, რადგან თვითონ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არღვევს საკოლმეურნეო წესდებას.

საკოლმეურნეო წესდების დარღვევის შედეგად კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დაგვიანებით და უხარისხოდ სრულდება. თავთავიანი კულტურების აღება აქ ერთ თვეზე მეტს გააჭიანურეს. სამი ურემი ძნა გასალეწი დარჩათ და პირუტყვმა გაანადგურა. როცა კოლმეურნეობაში ტრაქტორები მივიდნენ სამუშაოდ, ნაკვეთები გაწმენდილი არ აღმოაჩნდათ. კომბაინით მომკილი ნაკვეთებიდან ნამჯა გამოტანილი არ ჰქონდათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბევრი არ უფიქრია, განკარგულება გასცა და 15 ჰექტარზე ნამჯა გადაწვეს. ეს იმ დროს, როცა საქონლის საკვები ყოველ წელიწადს აკლდებათ. 20 ჰექტარზე დღემდე არ აუჩრიათ სიმინდის ჩალა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე დარგული 136 ათასი ცალი ვაზის ნერგი მოუვლელობის გამო მთლიანად განადგურდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ერთგულაშვილმა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას 20 ნოემბერს მიაწოდა ცნობა, რომ თავთავიანი კულტურები თითქოს 381 ჰექტარზე დათესა, გეგმა შესრულებულად უჩვენა. ეს ცნობა მართალი არაა, რადგან 28 ნოემბრისათვის საწყობიდან დასათესად გაცემული იყო მხოლოდ 44 ტონა თესლი, რაც საკმარისია მხოლოდ 275 ჰექტარის დასათესად. ამრიგად, ერთგულაშვილმა დათესილად უჩვენა ზედმეტი 100 ჰექტარი.

იმ უმსგავსობის შესახებ, რომელიც კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ ხდება, კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ აღნიშნულიც საკმარისია იმისათვის, რომ პარტიის ახმეტის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სათანადო ზომები მიიღონ საკოლმეურნეო წესდების დამრღვევთა წინააღმდეგ.

ს. ᲥᲝᲩᲚᲐᲫᲔ

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მასალათ. ახალი ინდუსტრიული ცენტრების შექმნის შესახებ საუბრის დროს საჭიროა რუკაზე ვეჩვენოთ მათი ადგილმდებარეობა.

შემდეგ პროპაგანდისტი ლაპარაკობს, თუ როგორ სურდათ ლენინიზმის მტრებს, ტროცკისტ-ბუხარინელ გამცემლებს ჩაეშალათ სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაცია და როგორ იბრძოდნენ პარტია და საბჭოთა ხალხი ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ინდუსტრიალიზაციის გენიალური ლენინურ-სტალინური პროგრამის განსახორციელებლად.

პროპაგანდისტის საუბარში გამოყენებულ უნდა იქნას ადგილობრივი ფაქტები კარგი იქნება გავიხსენოთ, თუ როგორ შეიცვალა ხუთწლედების მანძილზე საწარმო, რა ახალი ფაბრიკები და ქარხნებია აგებული ქალაქებში, რაიონში, ოლქში.

ამ კარის შესახებ საუბარში უწინარეს ყოვლისა, განხილულ უნდა იქნას სსრ კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, როგორც სოციალიზმის აგების უმნიშვნელოვანესი პირობის, მნიშვნელობის საკითხი. მსმენელებმა ზუსტად უნდა შეიგნონ, რომ ჩვენი ქვეყნის აგრარულიდან ინდუსტრიულად გადაქცევისათვის საჭირო იყო მძლავრი მძიმე მრეწველობის შექმნა, რომელსაც უნარი ექნებოდა ხელახლა შეეიარაღებინა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

იმ საკითხის განხილვისას, თუ რას წარმოადგენს ინდუსტრიალიზაციის საბჭოთა მეთოდი, რაში არის მისი ძირეული განსხვავება კაპიტალისტური მეთოდისაგან, საჭიროა მსმენელებს განვუმარტოთ ის დიდი მნიშვნელობა, რაც ჩვენი სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარებისათვის აქვს სახსრების დაგროვების ისეთ წყაროებს, როგორიცაა შრომის ნაყოფიერების ზრდიდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, ბრძოლა მატერიალური და საფინანსო სახსრების უმკაცრესი მომჭირნეობისათვის.

შემდეგ მსმენელთა წინაშე უნდა დაისვას ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხი. პროპაგანდისტი ცდილობს, რომ მსმენელები მტკიცედ გაერკვნენ საკითხში — რატომ გვჭირდებოდა ჩვენ ინდუსტრიალიზაციის ძლიერი ტემპი.

საუბრის დასასრულს განხილულ უნდა იქნას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოდა პარტია სოციალიზმის მტრებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პერიოდში.

საუბარში ნაჩვენები უნდა იქნას ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელი როლი, რომელმაც პარტია შეაიარაღა სსრ კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საბრძოლო პროგრამით და რომელიც ჩვენს ქვეყანაში მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნისათვის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია.

III

მესამე მეცადინეობა მიეძღვნება კარს, „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია“.

პროპაგანდისტი მსმენელთ უამბობს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიდი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. მუშათა და მშრომელ გლეხთა კავშირი საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი საფუძველია. ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ ამ კავშირში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნის მუშათა კლასს, რომ ეს კავშირი მიმართული იყო, სოციალიზმის აშენებისაკენ, კლასების მოსპობისაკენ. კოლმეურნეობათა შექმნის გზით მშრომელ გლეხთა ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში აუცილებელი პირობა იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ლენინი და სტალინი მიგვითითებდნენ, რომ საჭირო იყო წვრილი გლეხური მეურნეობანი გადაგვეყვანა მსხვილ, კოლექტიურ, მანქანურ მოწეთმოქმედებაზე, რადგან მხოლოდ ამის შეეძლო ეხსნა ათობით მილიონი გლეხური მეურნეობანი საუკუნეობრივი გაჭირვებისაგან. ლენინი და სტალინი გვასწავლიდნენ, რომ გლეხობა უნდა დაგვერწმუნებინა, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო გადასულიყო მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე, რომელიც ეყრდნობა ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მსხვილი მანქანების გამოყენებას. ლენინის კოოპერაციული გეგმა ისახავდა მიზანს — გლეხებისათვის ესწავლებინა საქმის სარმო წარმოება, ჯერ კოოპერაციის უმარტივესი ფორმებით, შემდეგ კი კოოპერაციის უმაღლესი ფორმით— საწარმოო კოოპერაციით. კოლმეურნეობები სწორედ საწარმოო კოოპერაციის უმაღლეს ფორმას წარმოადგენენ. ლენინის კოოპერაციულ გეგმაზე დაყრდნობით ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა და განახორციელა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია. ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო დიდხანს დაყრდნობოდა ორ სხვადასხვა საფუძველს — მსხვილ სოციალისტურ მრეწველობას და წვრილ გლეხურ მეურნეობას, რომელიც კაპიტალიზმს წარმოშობს. მხოლოდ მსხვილ, განსახოგადოებულ მეურნეობაზე გადასვლის გზით შეიძლებოდა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის აღმოფხვრა, გლეხთა კეთილდღეობის კეთილმჯობესება, ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფა პურით, პროდუქტებითა და საჭირო ნედლეულით.

საბჭოთა გლეხობამ აირჩია ლენინისა და სტალინის მიერ ნაჩვენები გზა, საბჭოთა სოფლის კოლექტივიზაციის გზა.

პარტიის XV ყრილობამ, რომელიც 1927 წლის დეკემბერში შედგა, გამოიტანა გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ყოველმხრივ გაშლის შესახებ. საკავშირო კ. ბ. (ბ) XV ყრილობა ისტორიაში შეედი როგორც კოლექტივიზაციის ყრილობა.

პროპაგანდისტი განმარტავს, თუ როგორ ამზადებდა პარტია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. აქ საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ტრაქტორებისა და სხვა მანქანების მრეწველობის განვითარებასა და მათს გამოშვებას სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისათვის, გამოვარკვიოთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობა წვრილი გლეხური მეურნეობების საკოლმეურნეო სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის საქმეში და კოოპერაციის სხვადასხვა ფორმის მნიშვნელობა.

პროპაგანდისტი მსმენელებს მოაგონებს ამხანაგ სტალინის ისტორიულ სტატიას „დიდი გარღვევის წელი“, რომელიც ოცი წლის წინათ გამოქვეყნდა. იგი აღნიშნავს, თუ პარტიამ, საკოლმეურნეო წყობილების სულისჩამდგმელის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, რა დიდი ყურადღება 1929 წელს მშრომელი გლეხობის ძირითადი მასები კოლმეურნეობათა გზაზე. მსოფლიოდან გადდოდნენ რა კოლექტიურ მეურნეობაზე, გლეხები ანადგურებდნენ კულაკებს, ახდენდნენ მათ განკულაკებას.

ამ პერიოდში ბოლშევიკების პარტია კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან გადავიდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

პარტიამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით გადაწყვიტა ხელისუფლების მოპოვების შემდეგ უძნელესი ამოცანა პროლეტარული რევოლუციისა, ამოცანა წვრილი გლეხური მეურნეობების გადაყვანისა სოციალიზმის რელსებზე, ამოცანა კულაკობის, ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატორული კლასის, ლიკვიდაციისა.

ეს იყო უდიდესი რევოლუციური გადატრიალება, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციურ გადატრიალებას უდრიდა. ამ რევოლუციის თავისებურება ის იყო, რომ იგი განხორციელდა **ზემოდან.** სახელმწიფო ხელისუფლების ინიციატივით, გლეხთა მილიონიანი მასების მხრივ პირდაპირი მხარდაჭერით **ქვემოდან.**

ამხანაგი სტალინი საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედია.

საუბრის დროს მსმენელებს უნდა განვუმარტოთ შემდეგი საკითხები: რა არის მსხვილი სოფლის მეურნეობის შექმნის სოციალისტური გზა და ძირითადად რით განსხვავდება იგი კაპიტალისტური გზისაგან; როგორ მოამზადა პარტიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით წვრილი გლეხური მეურნეობის გადაყვანა სოციალისტურ რელსებზე, როგორ განხორციელდა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის ბაზაზე; სოციალისტური შშენებლობის რა ძირითადი საკითხები გადაწყდა მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შედეგად; რა ბრძოლას ეწეოდა პარტია სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელების პერიოდში.

როგორც თხრობის, ისე საუბრის დროს შეიძლება მოხერხებულად გამოვიყენოთ ადგილობრივი ფაქტები, კოლექტივიზაციისათვის, და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაა მონაწილეთა მოგონებანი, ამონაწერები ზოლოზოვის რომანიდან „გატეხილი ყამირი“ (განსაკუთრებით თავები 4, 12, 28, 33, 35), პანფეროვის მესამე წიგნიდან „ძელაკები“ და ტვარდოვსკის პოემიდან „მურავიის ქვეყანა“.

IV.

მეოთხე კარზე „სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში“, რომელიც ცენტრალურია ამ თემაში, საჭიროა მოეწყოს სამი მეცადინეობა. პირველი — „მეორე ხუთწლედი“ და „სოკოლმეურნეო წყობილების განმტკიცება“; მეორე — „სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში“, „მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა“ და „კულტურული რევოლუცია სსრ კავშირში“; მესამე — „საბჭოთა კავშირი მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოა“ და „სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება“.

პროპაგანდისტი მსმენელებს მოაგონებს, რომ მეორე ხუთწლედი ისახავდა მიზანს — საბოლოოდ მოესპო ჩვენს ქვეყანაში კაპ

ბულგარელი სახელმწიფო დამნაშავის ფრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა სასამართლო პროცესი

სოფია, 7 დეკემბერი. (საკდესი). საღამოს სხდომაზე სასამართლო ბულგარელი სახელმწიფო დამნაშავის ტრაიჩო კოსტოვისა და მის თანამონაწილეთა საქმეზე შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას. პირველად დაკითხულ იქნა ტრაიჩო კოსტოვი.

ინგლისის დაზვერვის აგენტი, შეთქმულების მონაწილე, რომელიც მიზნად ისახავდა ბულგარეთში სახალხო ხელისუფლების დამხობას, დამნაშავე ისეთ მოქმედებაში, რაც მიმართული იყო სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ბულგარეთის მეგობრული ურთიერთობის გაუარესებისაკენ, და სხვა მძიმე დანაშაულობათა ჩამდენი, კოსტოვი უტიფრად უარობს, გვერდს უვლის გამოძიების დროს საკუთარი ხელით დაწერილ ჩვენებას, თავს არიდებს პასუხს პირდაპირ დასმულ კითხვებზე. კოსტოვი იბნევა და ცდილობს ახალი ყალბი ჩვენებით გაამართლოს თავი.

შეეხო რა თავის კავშირს ინგლისის სადაზვერვო სამსახურთან, კოსტოვმა აჩვენა, რომ პოლკოვნიკ ბეილის ის შეხვდა სადილზე, რომელიც გამართა გენერალმა ოქსლიმ — ბულგარეთთან დაზვავების სამოკავშირეო საკონტროლო კომისიასთან არსებული ინგლისის მისიის მეთაურმა. მან ეს შეხვედრა დაახასიათა როგორც ჩვეულებრივი შეხვედრა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება კოსტოვის ჩვენებას წინასწარი გამოძიების დროს.

იძლეოდა რა ჩვენებას, თუ როგორ გადაიბირა იგი 1942 წლის მაისში ინგლისის დაზვერვამ, ე. ი. მაშინ, როცა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტების) ცენტრალური კომიტეტის ჩავარდნასთან დაკავშირებით, ცენტრალური კომიტეტის დაპატიმრებულ წევრებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, და როცა კოსტოვმა კაპიტულაცია მოახდინა ფაშისტური პოლიციის წინაშე და მის სამსახურში გადავიდა, რისთვისაც მას განაჩენი შეუმსუბუქეს, ბრალდებული უარყოფდა, რომ სიკვდილით დასჯას თავი დაალწია თავისი გამცემლობით. მაგრამ კოსტოვმა ვერ მოიყვანა და არც შეეძლო მოეყვანა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი თავის გასამართლებლად და არსებითად მხოლოდ დაადასტურა ამ ნაწილში მისთვის წაყენებული ბრალდებანი.

აღიარა რა, რომ კავშირი ჰქონდა შემდეგში მხილებულ ტროცკისტებთან ბელა კუნთან და ვალეკცასთან, კოსტოვი აქაც ცდილობდა თავის დაძვრენას, ხოლო შემდეგში უარყოფდა გამოძიების დროს საკუთარი ხელით დაწერილ ჩვენებას.

1944 წლის ბოლოდან დაპატიმრებამდე კოსტოვს დანაშაულებრივი ურთიერთობა ჰქონდა ტიტოსთან და მის უახლოეს თანამონაწილეებთან — კარდელთან, ჯილასთან და რანკოვიჩთან. „ჩვენი ერთობლივი საქმიანობა, ნათქვამია კოსტოვის ჩვენებაში, იმაში მდგომარეობდა, რომ ტიტოს იუგოსლავიაში, ხოლო მე ბულგარეთში უნდა განგვეხორციელებინა სსრ კავშირისაგან ჩვენი ქვეყნების ჩამოშორების პოლიტიკა და მათი შეერთება ინგლის-ამერიკის ბლოკთან“.

კოსტოვი თავის ჩვენებაში დაწვრილებით ლაპარაკობს თავის შეხვედრებზე ინგლისის დაზვერვის პოლკოვნიკ ბეილისთან და ოქსლისთან.

ბეილისთან საუბარში, ნათქვამია ამ ჩვენებაში, ბეილმა კოსტოვს განუცხადა, რომ „ინგლისელებს კავშირი აქვთ გეშევთან, რომელიც დიდი ხნიდან ასრულებდა მათს დავალებას. სწორედ ჩვენი დავალებით, უთხრა ბეილმა კოსტოვს, გადმოგიბირათ თქვენ გეშევმა 1942 წელს“.

ბეილის სიტყვით, ინგლისელები ჯერ კიდევ 1942 წელს ვარაუდობდნენ, რომ გერმანია ომს წაგებდა და ბულგარეთში შეიქნებოდა ისეთი მდგომარეობა, როცა ბულგარეთის დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით კომუნისტური პარტია არალეგალობიდან გამოვიდოდა და თვალსაჩინო როლს შეასრულებდა. ამის გამო, განაგრძობდა ბეილი, ინგლისელებმა იზრუნეს იმისათვის, რომ შეეძინათ საიმედო თანამშრომელი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში. „ბეილმა ხაზგასმით აღნიშნა, — აჩვენებდა კოსტოვი, — რომ ინგლისის დაზვერვა, ითვალისწინებს რა იმ ხელმძღვანელ პოსტს, რაც მე პარტიაში მიკავია, იმედს ამყარებს ჩემზე“.

წინასწარი გამოძიების დროს კოსტოვის ჩვენება აუმკრავებს ინგლისის დაზვერვის მჭიდრო კონტაქტს იუგოსლავიის დაზვერვასთან. „ბეილმა მითხრა, — აცხადებს თავის ჩვენებაში კოსტოვი, — რომ ჯერ კიდევ ომის დროს ტიტოსა და ინგლისელებს შორის, ამერიკელთა თანხმობით, მიღწეულ იქნა შეთანხმება იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც იუგოსლავია ომის შემდეგ გაატარებდა“.

„1947 წლის ბოლოს, აჩვენებს კოსტოვი, ჩემთან მოხდა შეხვედრა ბულგარეთში ამერიკის ახლადდანიშნულ ელჩ დონალდ ჰიტთან. ნათქვამიდან მივხვდი, განაგრძობს კოსტოვი, რომ ჰიტი ჩემთან გამოცხადდა იმ შეთანხმების შედეგად, რასაც მივაღწიე ტიტოსთან, რომელიც დამპირდა რომ ხელს შემიწყობდა ამერიკელებთან კავშირის დამყარებაში. მე ვუპასუხე, რომ თანახმა ვარ შევასრულო მისი სურვილი. ჰიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის რჩევა, რასაც ტიტოსა და მისი უახლოესი თანამშრომლებისაგან მივიღებდი, უნდა მიმეჩნია ამერიკელების რჩევად“.

კოსტოვის ჩვენებამ, რაც სასამართლომ გამოაქვეყნა, სავსებით ამხილა ბრალდებული როგორც ბულგარეთის ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორი, როგორც ინგლისის, ამერიკისა და იუგოსლავიის დაზვერვათა აგენტი, როგორც ბულგარელი ხალხისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესების მოღალატე.

ჩვენების წაკითხვამ 3 საათს გასტანა, რის შემდეგაც სასამართლომ შეწყვიტა კოსტოვის დაკითხვა და გადავიდა ბრალდებულ ივანე სტეფანოვის დაკითხვაზე.

ბრალდებულმა სტეფანოვმა მთლიანად აღიარა, რომ იგი ეწეოდა მტრულ საქმიანობას, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას.

ბრალდებულმა განაცხადა, რომ იგი დაიბადა მდიდარ ოჯახში. მამამისი იყო 4 ათას დეკარზე მეტი მიწის მესაკუთრე ბალჩიშის მხარეში, ხოლო მისი პაპა დედის მხრივ დობრუჯაში 12 ათასი დეკარი მიწის მესაკუთრე იყო.

— მე, — თქვა სტეფანოვმა, — უმაღლესი განათლება მივიღე ბერლინში. იქ შევხვდი ჩემს ნათესავს, ცნობილ ტროცკისტს კრისტო რაკოვსკის. შემდეგში მასთან შეხვედრის დროს პარიზში 1925 წელს მან განმიცხადა, რომ გიორგი დიმიტროვი და ვასილ კოლაროვი უნდა ჩამოვაშოროთ პარტიის ხელმძღვანელობას და შევცვალოთ ისეთი პირებით, როგორიცაა პეტრე ისკროვი.

შეეხო რა თავის ტროცკისტულ საქმიანობას ბულგარეთის კომუნისტურ პარტიაში, სტეფანოვმა აჩვენა:

1925 წლის დამდეგს, ბულგარეთში დაბრუნების შემდეგ, მე მივემხრე მემარცხენე სექტანტებს. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1929 წელს ბერლინში, დელეგატად ყოფნისას, მბარი დავუჭირე ისკროვისა და კაფარჯიევის გალაშქრებას დიმიტროვისა და კოლაროვის წინააღმდეგ.

— 1932 წლის დამლევს სოფიაში, — განაცხადა შემდეგ სტეფანოვმა, — კავშირი დავამყარე ადვოკატ ნახიმზონთან, რომელიც ინგლისის დაზვერვის აგენტი იყო და რომელმაც დამიყოლია ყოველთვიურად მომეწოდებინა ინფორმაცია და კვარტალური მიმოხილვა ბულგარეთის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, რაც ინგლისის მისიას ესაჭიროებოდა. პირველი ასეთი მიმოხილვა გავაკეთე, — აჩვენა სტეფანოვმა, — 1933 წლის მეორე კვარტალის (აპრილი-ივნისი) შესახებ და განვაგრძობდი მათს შედეგნას 1937 წლის ნახევრამდე, სეიშტოვს გამგზავრებამდე. თვითეული ამ მიმოხილვის შესრულებისთვის გასამრჯელოდ ვიღებდი 3 ათას ლევს.

1933 წელს ნახიმზონის ერთ-ერთი ნახვის დროს კავშირი დავამყარე ინგლისის დაზვერვის უფროს ბრაუნთან. სეიშტოვს გამგზავრებისას ბრაუნმა მომცა ინსტრუქცია, რომ აუცილებლად უნდა დავრჩენილვიყავი კომუნისტურ მოძრაობაში, მაშინაც კი, თუ შეხედულებას გამოვიცვლიდი, ან უსიამოვნება მექნებოდა პოლიციასთან, და უნდა განვეგრძო ჩემი ტროცკისტული საქმიანობა ბულგარეთის პირობებში. 1945 წელს, — განაგრძო ივანე სტეფანოვმა, — ჩემთან მოვიდნენ პოლკოვნიკი ბეილი, სამოკავშირეო საკონტროლო კომისიასთან ინგლისის სამხედრო მისიის სამეურნეო განყოფილების გამგე, და მისი თანაშემწე მაიორი გოზლინგი.

მათ მომთხოვეს წარმედგინა ცნობები ბულგარეთის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ინგლისის მთავრობას ეინტერესებოდა.

სტეფანოვმა მათ მისცა 1945 წელს ბულგარეთის ეკონომიური მდგომარეობის სრული დახასიათება.

„ბეილისთან შემდგომ საუბარში, — თქვა სტეფანოვმა, — მან სიტყვა გადამიკრა ბულგარელი და იუგოსლავიელი ხალხების ერთმანეთთან სიახლოვეზე და თქვა, რომ მათ შორის არ არსებობს არავითარი დაპრკოლება ფედერაციაში ერთად ყოფნისათვის“.

— 1945 წლის სექტემბერში ბეილმ მინახულა სახალხო ბანკის ჩემს კაბინეტში და მითხრა, რომ იცის ჩემი კავშირი ბრაუნთან. ამასთან იმედი გამოთქვა, რომ ინგლისის დაზვერვასთან ჩემი თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდებოდა.

— ბეილმ მითხრა, რომ მე ახლა უფრო რთული და სერიოზული ამოცანა მეკისრებოდა, სახელდობრ: საჭირო იყო მუშაობა ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გასაუარესებლად, ხელის შეწყობა დასავლეთ ქვეყნებთან ბულგარეთის სამეურნეო და პოლიტიკური კავშირის გაფართოებისათვის. იგი აგრეთვე ამბობდა, ბულგარეთს ისეთი განვითარება უნდა ჰიეცეს, როგორიც ინგლისელებს მისთვის უფრო საჭირო მიაჩნიათო. ამ ამოცანების შესასრულებლად მათ, როგორც ბეილმ აღნიშნა, უკვე მიიმხრეს ჩემი თვალსაჩინო ამხანაგები. მან დამიყოლია მივმხრობოდი მათ, როგორც ინგლისის დაზვერვის თანამშრომელი.

შემდეგ სტეფანოვმა ილაპარაკა თავის კავშირზე გოზლინგთან, ბეილის თანაშემწესთან.

ტრაიჩო კოსტოვთან თავისი „თანამშრომლობის“ შესახებ სტეფანოვმა აჩვენა, რომ ტრაიჩო კოსტოვი ზზირად გამოთქვამდა მასთან აზრს, რომ საბჭოთა კავშირთან ბულგარეთის შემდგომი დაახლოება „ზიანს მიაყენებს ბულგარეთის ინტერესებს“ და რომ უნდა დავიწყოთ ისეთი საქმიანობა, რომელიც მომართული იქნება დასავლეთ ქვეყნებთან სამეურნეო ურთიერთობის განვითარების გაძლიერებისაკენო. სტეფანოვი თავისი ჩვენებით ამხილებს კოსტოვს, აქარწყლებს მის ცდას თავი დაიძვრინოს პასუხისმგებლობისაგან.

ტრაიჩო კოსტოვის აზრით, — თქვა სტეფანოვმა, — ბულგარეთის შეერთება იუგოსლავიასთან ბევრ სამეურნეო საკითხს გადაჭრიდა. ჩემთან ერთი საუბრის დროს 1945 წლის სექტემბერში ტრაიჩო კოსტოვმა მითხრა, რომ იუგოსლავიელი ხელმძღვანელები იმასაც კი აპირებენ, რომ ურთიერთობა გაწყვიტონ საბჭოთა კავშირთან და მჭიდრო თანამშრომლობა დაამყარონ დასავლეთ ქვეყნებთან, რომლებისგანაც დახმარებას მოელიანო.

— ტრაიჩო კოსტოვი აცხადებდა, რომ ბულგარეთი სწრაფად ვერ აღადგენდა თავის მეურნეობას, თუ არ ითანამშრომლებდა იუგოსლავიასა და დასავლეთ სახელმწიფოებთან, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ანტისაბჭოთა პოლიტიკის განხორციელება და „თანაც მოხერხებულად“.

ჩვენ ვემზადებით ანტისაბჭოთა განწყობილებას, — თქვა სტეფანოვმა, — რისთვისაც ვიყენებდით ბურჟუაზიულ წრეებში გავრცელებულ ხმებს.

„აკლავაც ასე იმოქმედე, შენ უკეთ დაასაბუთებ ამას, — მითხრა კოსტოვმა, — ვინაიდან შენ უკეთ ერკვევი სამეურნეო პოლიტიკაში“.

ამ მიზნისათვის გადაბირებულ იქნენ აგრეთვე ნიკოლა პაგლოვი, პიჩკო კუნინი, ილია ბოიაჯიევი, ლულჩო ჩერვენკოვი და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები — სტეფანე ბოგდანოვი, ზადგორსკი და სხვენი.

ტრაიჩო კოსტოვმა გამაცნო, — განაგრძობს სტეფანოვი, — აგრეთვე თავისი საუბრები კარდელთან 1944 წლის დამლევს.

ამით დამთავრდა სასამართლოს საღამოს სხდომა. ბრალდებულ ივანე სტეფანოვის დაკითხვის განგრძობა გადატანილია 8 დეკემბრის დილის სხდომაზე.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 10 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ქალაქ სენ-დენის მერის ოგიუსტ გიიოს თავმჯდომარეობით მერიის შენობაში გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პრეზიდიუმში არიან მორის ტორეზი, ჟაკ დიუკლო, ანდრე მარტი, ლეონ მოვე და მარსელ კაშენი. დარბაზი მორთულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტით და ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებენ მუშათა კლასის ერთიანობისაკენ, პროგრესისა და მშვიდობის მთელი ძალების გაერთიანებისა და საფრანგეთში დემოკრატიული ერთიანობის მთავრობის შექმნისაკენ, ისეთი მთავრობისა, რომელიც განახორციელებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, კეთილდღეობისა და მშვიდობის ფრანგულ პოლიტიკას.

ოგიუსტ გიიოს მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ ვრცელი მოხსენება თემაზე „მშვიდობისთვის ბრძოლა ახლანდელი მომენტის ძირითადი ამოცანა და დემოკრატიის მთელი ძალების მოვალეობაა“ გააკეთა პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაჟონმა.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის იტალიის კომიტეტის მიმართვა

რომი, 9 დეკემბერი. (საკდესი). დე გასპერის მთავრობის მიერ ახალ სამხედრო ვალდებულებათა დაკისრების შესახებ ცნობებთან დაკავშირებით რომში მოიწვიეს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის იტალიის კომიტეტის სხდომა, რომელმაც მიიღო მიმართვა იტალიელი ხალხისადმი.

მიმართვაში ნათქვამია: „ატლანტიკის სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერის 8 თვის შემდეგ იტალიაში ამერიკის სამხედრო კონტროლიორის ჩამოსვლა, რაც მოჰყვა ამერიკის პოლიტიკურ და ეკონომიურ კონტროლიორთა ჩამოსვლას, მშვიდობის, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ღირსების ახალ ამკარა ხელყოფას წარმოადგენს. იტალიის მთავრობა „დაკვის“ საჭიროებით ამართლებს. მან იცისა ჩვენი ჯარისკაცები გაგზავნოს სხვა ქვეყნებში უცხოთის ოფიცრების განკარგულებაში. მას სურს ჩვენი ჯარისკაცები გადააქციოს დაქირავებულ ჯარისკაცებად, რომლებიც ამერიკის სამხედრო ექსპანსიის სამსახურში იქნებიან, ხოლო ჩვენი ქვეყანა — კოლონიურ ტერიტორიად.

ომის საფრთხის გამო, რაც თავს დასტრიალებს ჩვენს ქვეყანას, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის იტალიის კომიტეტი ხალხს რჩეულთ — სენატორებსა და დეპუტატებს მოუწოდებს მოსთხოვონ მთავრობას განმარტოს მის მიერ ახლახან ნაკისრი ანტიკონსტიტუციური, ჩვენი ეროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი სამხედრო ვალდებულებანი“.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის იტალიის კომიტეტი ყველა საზოგადოებრივ დემოკრატიულ ორგანიზაციას მოუწოდებს პროტესტი განაცხადონ მთავრობის სამხედრო ვალდებულებათა წინააღმდეგ და ერთობლივი კოორდინირებული მოქმედება დაიწყონ მშვიდობისა და ეროვნული ღირსების დასაცავად.

მაკარიოსის შეგობარ იაპონიის ქალთა დელეგაციას ნება არ დართეს კონფერენციაზე ნასულიყო პეკინში

შანხაი, 8 დეკემბერი. (საკდესი). ტოკიოდან გადმოგვცემენ: მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის ქალთა ორგანიზაციებმა არაერთგზის სცადეს მიეღოთ მაკარტურის შტაბის ნებართვა იაპონიის ქალთა დელეგაციის გასამგზავრებლად პეკინში აზიის ქვეყნების ქალთა კონფერენციაზე, მაკარტურმა უარი უთხრა ასეთ ნებართვაზე. ამით ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლებმა ერთხელ კიდევ გამოაშკარავეს თავიანთი მისწრაფება ყოველნაირად შეუშალონ ხელი იაპონიის პროგრესული ორგანიზაციების მუშაობას, დანარჩენი მსოფლიოსაგან განაცალკევონ იაპონიის დემოკრატიული მოძრაობა.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია

ბერლინი, 9 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადენის საგენტო ბონიდან იუწყება, გუშინ დასავლეთის უმაღლეს კომისართა სხდომაზე „ევროპის შეიარაღებული ძალებისათვის“ დასავლეთ გერმანიის კონტინგენტის შექმნის მეთოდების განხილვასა, გაფფრებული დავა დაიწყო. როგორც ინგლისის, ისე საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ენერგიულ პროტესტს აცხადებდა გერმანიის რემილიტარიზაციის საკითხში ამერიკელ საოკუპაციო ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ. განსაკუთრებით გაკრიტიკებულ იქნა ამერიკის კარნახით მიცემული ადენაუერის ინტერვიუ, რომელსაც ფართოდ გამოუხმაურნენ დასავლეთ გერმანიის პრესა და გერმანელი მილიტარისტები და რომელმაც ძლიერ შეაშფოთა ინგლისისა და საფრანგეთის საზოგადოებრიობა. დავის მიზეზი იყო აგრეთვე ამერიკის თავდაცვის მინისტრ ჯონსონისა და ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის მეთაურის ბრედლის ახლა უკვე ცნობილი მოლაპარაკება ჰიტლერელ გენერლებთან ბალდერსა და გუდერიანთან და პოლონელ გამცემ გენერალ ანდერსთან.

მრავალი საათის კამათის შემდეგ უმაღლესი კომისრები დათანხმდნენ წინათ შემუშავებულ საორგანიზაციო გეგმაზე — შეიქმნას დასავლეთ ზონებში „დიდი საპოლიციო ძალები“, რომლებიც უნდა შედგებოდნენ თერთმეტი დივიზიისაგან, რომელთაგან თვითეულში 10 ათასი კაცი იქნება. თვითეული დივიზიის 10 პროცენტი შეიარაღებული უნდა იყოს მსუბუქი არტილერიითა და ტანკებით და დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადაყვანილი ყაზარმულ მდგომარეობაზე. შეიარაღება ჯერ უნდა მიაწოდონ ამერიკის საოკუპაციო ჯარებმა. ამ შენაერთების ბირთვს უნდა შეადგენდნენ ეგრეთ წოდებული მუშათა ბატალიონები და სამრეწველო პოლიცია.

იმავე საagენტოს ცნობით, საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ უმაღლესი კომისრები ოთხსაათნახევარზე მეტ ხანს ეთათბირნენ ადენაუერს პეტერსბერგში.

ადენაუერს დაევალა შექმნას უკვე დიდი ხნის წინათ დაგეგმილი „უშიშროების ორგანები“ დასავლეთ გერმანიაში დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ფაშიზმის აღორძინება დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 9 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგს“ მოჰყავს ბავარიაში ფაშიზმის აღორძინების ფაქტები, რომლებსაც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სპეციალური კორესპონდენტი იტყობინება და რომლებიც დამყარებულია ბავარიაში მყოფი ამერიკელი მაღალი თანამდებობის პირის ანგარიშზე. ამ ოფიციალურ ამერიკულ ანგარიშში მოყვანილია ცნობები ფაშისტთა რაოდენობის შესახებ ბავარიის ზოგიერთ სამინისტროში. მაგალითად, იუსტიციის სამინისტროში მოსამართლეთა და პროკურორთა 81 პროცენტი ყოფილი ჰიტლერული პარტიის წევრია. სოფლის მეურნეობისა და მომარაგების სამინისტროში მოხელეთა 77 პროცენტი ფაშისტია. როგორც ნათქვამია ანგარიშში, ჰიტლერელებმა მოიკალთეს სავაჭრო და სამრეწველო სისტემაში. ერთი რეგენსბურგელი ამერიკელი მოხელე ანგარიშში აღნიშნავს, რომ 5 თვის განმავლობაში მან ვერ შეძლო სამუშაო ეშოვნა 53 ანტიფაშისტისათვის, ამავე დროს მან ადვილად მოაწყო სამუშაოზე ჰიტლერული პარტიის 69 ყოფილი წევრი. ბავარელი ხელისუფალნი ჰიტლერელებს ხალისით უწევენ ფინანსურ დახმარებას. აღნიშნულ ანგარიშში მაგალითად დასახელებულია ყოფილი სს-ელი გენერალ-მაიორი პაულ ვილი, რომელიც ნიურნბერგში ცხოვრობს, და პენსიას იღებს თვეში 1.024 მარკის რაოდენობით.

მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სავაჭრო დელეგაცია

10 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი დ. განევი.

დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის როადგილე **მ. გ. ლოშაკოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთ მყოფი საბჭოთა ქონების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **მ. ი. მიხინი,** სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ბულგარეთში **ს. დ. სერგეევი,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამმართველოს ბულგარეთის განყოფილების უფროსი **ე. ნ. ფადეევი,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოჯმო განყოფილების უფროსი **ნ. ი. კუზმინსკი** და სხვები.

დელეგაციას აგრეთვე შეხვდნენ მოსკოვში აკრედიტებული ბულგარეთის საელჩოს წევრები. (საკდესი).

ჟურნირი ქალთა მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის XIX კონგრესმა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობაზე ტურნირის მოწყობა დავალა სსრ კავშირის საჭადრაკო სექციას.

ტურნირი მოსკოვში შედგება. იგი 19 დეკემბერს გაიხსნება წითელი არმიის ცენტრალურ სახლში.

ჭადრაკში ქალთა მსოფლიო ჩემპიონის სატიტო წოდებას ერთმანეთს შეეცილება მსოფლიოს 16 უძლიერესი მოჭადრაკე. მათ შორის საბჭოთა კავშირის 4 მოჭადრაკე.

განაცხადი ამ ტურნირში მონაწილეობაზე მიღებულია ინგლისის, უნგრეთის, ჰოლანდიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დანიის, იტალიის, კუბის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკე ქალებისაგან. (საკდესი).

ქუხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება დოცენტ **ი. მირცხულავას** ლექცია თემაზე: **„სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.**

თეატრებში

11 დეკემბერს: ოპერისა და ბალეტის — „ალი“ (დილით), „მზია“ (საღამოს, მე-11 ა.ბ. მეოთხე სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის** — „ჩაძირული ქვები“ (დილით), „გამარჯვებულთა ღიმილი“ (საღამოს, მე-8 სერიის მესამე სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ხარატაანთ კერა“ (დილით და საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — „ყოველთვის ყველერი როდია“ (დილით), „ჩაძირული ქვები“ (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — „ნათელა“ (დილით), „თბილისის ცის ქვეშ“ (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „თამარის ბაჟანი“ (მე-16 ა.ბ. 10 ს. 34 ა.ბ. 2 ს), „კომბლე“ (26 ა.ბ. 7 ს.).

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან ერთად ორშაბათს, 12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, იწვევს მუშკორებისა და ძირეული პრესის მუშაკთა საქალაქო კრებას. კრება შედგება პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ კლუბში (ლენინის ქ. № 14, III სართული).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

როგორ მოვაწყოთ მეცადინეობა თემაზე „სოციალისტური საზოგადოების აგება სსრ კავშირში“

(დასასრული)

როლი, როგორც საბჭოთა სახალხო ინტელიგენციის შემქმნელისა და აღმზრდელისა.

საუბარში განხილულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები: რაში მდგომარეობს სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა; ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა რა ცვლილებებმა გამოიწვია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნის საჭიროება. რა მნიშვნელობა აქვს პარტიის ბრძოლას ტროცკისტ-ზინოვიეველი და ბუხარინელი მოღალატეებისა და გამცემლების წინააღმდეგ და მათს განადგურებას, რა მატერიალური და კულტურული სიკეთე მიიღეს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად.

მსმენელებმა საუბრის მსვლელობაში უნდა შეითვისონ, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში პირველად ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასები და სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ჩამოყალიბდა საბჭოთა ხალხის ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, განმტკიცდა ჩვენს სამშობლოში მოსახლე ხალხთა ძმური მეგობრობა. საბჭოთა საზოგადოება ახლა შედგება მხოლოდ ქალაქისა და სოფლის მშრომელებისაგან — მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისაგან, რომელთა მთელი ღონისძიებანი მიმართულია საერთო მიზნისაკენ — კომუნიზმის აშენებისაკენ.

VI

თემის სწავლებისათვის საბოლოო მეცადინეობა მიეძღვნება ბროშურის ორ უკანასკნელ ქვეკარს.

თხრობის დაწყებისას პროპაგანდისტი აღნიშნავს, რომ ომისწინა სტალინური ხუთწლედების წლებმა ძირეულად გარდაქმნეს ჩვენი ქვეყანა. დამთავრდა მრეწველობისა და მიწათმოქმედების რეკონსტრუქცია ახალი თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე. მრეწველობისა და მიწათმოქმედების ახალი ტექნიკით აღჭურვილობის თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა მიწინავე გახდა ყოველ სხვა ქვეყანასთან შედარებით. საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასების ნაშთები, განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა. სოციალიზმის გამარჯვებამ გამოიწვია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სრული დემოკრატიზაცია, შეიქმნა ახალი კონსტიტუცია, რომელსაც მისი შემქმნელის სახელის მიხედვით სტალინური კონსტიტუცია ეწოდა.

„ეს იყო ნახტომი, რომლის საშუალებითაც ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ქვეყნად, აგრარულიდან — ინდუსტრიულ ქვეყნად“ (ი. სტალინი).

შემდეგ პროპაგანდისტი უჩვენებს, თუ როგორ გაძლიერდა სტალინური ხუთწლედების წლებში ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, როგორ გაიზარდა საბჭოთა არმიის საბრძოლო ძლიერება. ამის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედეგად.

სტალინის გენიამ, მისმა შეუდრეკელმა ნებისყოფამ და ბრძნულმა შორსმჭვრეტელობამ უზრუნველყო სოციალისტური საზოგადოების აშენება სსრ კავშირში.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს ისტორიული როლი საბჭოთა კავშირისა, როგორც ახალი ეპოქის მეგზურისა, ძმური დახმარება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი, რომლებიც, ჩვენი დიდი სამშობლოს გამოცდილებაზე დაყრდნობით, წარმატებით მიდიან სოციალიზმის გზით.

საუბარი უნდა დავიწყოთ სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა დახასიათებით, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა გადააქცეს ძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, მსხვილი კოლექტიური მექანიზებული მიწათმოქმედების ქვეყნად, მოწინავე კულტურის ქვეყნად. საჭიროა შევეხოთ ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ზრდას სტალინური ხუთწლედების წლებში.

საუბარში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს იმას, თუ როგორ ამზადებდნენ პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს ქვეყანას აქტიური თავდაცვისათვის.

საჭიროა, რომ საუბრის შედეგად მსმენელებმა მკაფიო და ნათელი წარმოდგენა მიიღონ ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის დიდ ალმაფრთოვანებელ და მართვანიზებელ როლზე ისეთი მსოფლიო-ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაში, როგორიცაა სოციალისტური საზოგადოების აშენება სსრ კავშირში.

გ. კუხოკი.

ლიტერატურა, რომელიც რეკომენდებულია პოლიტსკოლების მსმენელთათვის თემაზე — „სოციალისტური საზოგადოების აგება სსრ კავშირში“ მეცადინეობისათვის მოსამზადებლად

ვ. ი. ლენინი — საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები. თხზ., ტ. XXII, გამოც. მე-3.

ვ. ი. ლენინი — დიადი თაოსნობა. თხზ., ტ. XXIV, გამოც. მე-3.

ვ. ი. ლენინი — სტატიები და სიტყვები 1922-1923 წწ. პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა. 1947 წ.

ი. ბ. სტალინი — კიდევ ერთხელ სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში. თხზ., ტ. 9.

ი. ბ. სტალინი — მემარცხენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუ